რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 14 მაისი 1918 წ. 121

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 66 [illegible] ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. სამღვდელო-ბარიეთ ორ ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირ ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრი ქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადები უნ და მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭ დება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქ ცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბ რუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

წერილს მოწერილებში ყველა შემდეგი ადრე სით უნდა გამოგზავნოთ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ წერილს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 13. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 13).

ტელეფონი 16—62.

№ 95 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 95

## სამშვიდობო დელეგაცია

სამშვიდობო დელეგაცია ამ დღეებში ბათუმში საზავო მოლაპარაკებას შეუდგება. ოფიციალური ცნობით ოსმალეთის დელეგაციის გარდა იქ მისულან გერმანიის წარმომადგენლები და მალე ავსტრია-ბულგარიის დელეგატებიც მოვლენ.

ბათუმის მოლაპარაკება გაცილებით დიდ მნიშვნელოვანი და საგულისხმიეროა, ვიდრე ტრაპიზონის. უკანასკნელ ქალაქში მოლაპარაკება ჩვენსა და ოსმალეთს შორის სწარმოებდა და მისი მოკავშირე ცენტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლები არ ყოფილან. პირველ მოლაპარაკების დროს ამიერ-კავკასიის ბედი ოსმალეთის მასშტაბით უნდა გადაწყვეტილიყო და ჩვენსა და მათ შორის დამოკიდებულებას ეს ორი მოწინააღმდეგე ერთეულები არკვევდენ.

მაგრამ ამ ჟამათ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ბათუმში ცენტრალური სახელმწიფოების დელეგატები ერწრებიან და ამიერ-კავკასიის ბედის გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. აქ ოსმალეთი ეკვს გარეშეა—გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებ; მ ს საკუთარ საგარეო ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს დაუპირდაპირდება ცენტრალურ სახელმწიფოების—განსაკუთრებით კი გერმანიის ინტერესები და ოსმალეთის სულის-კვეთება საგრძნობლად შეიკვეცება.

ტრაპიზონში თუ ოსმალეთის დელეგატები ჩვენს დელეგატებს გერმანიის სახელის ხსენებასაც კი უკრძალავდენ—ბათუმში უკანასკნელები გადამწყვეტ როლს ითამაშებენ და ამით საზავო მოლაპარაკებას მეტად ფართო და დიდ მნიშვნელობას მისცემენ.

ჩვენ არ ვიცით გერმანიასა და საზოგადოთ ცენტრალურ სახელმწიფოების მოქმედების გეგმა, არც საბოლოოთ შეგვიძლია იმის თქმა, თუ ამიერ-კავკასიის შესახებ რა კონკრეტიულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს დაისვამს წინ ამ ჟამათ გერმანიის დიპლომატია. მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: მას უნდა ბათუმის მოლაპარაკებას საფუძვლათ დაუდოს ახლო აღმოსავლეთის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა და ამ მოლაპარაკებით მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს თავის საგარეო პოლიტიკას აღმოსავლეთში.

გერმანია თავისი ისტორიული მისიის შესრულებისათვის უკეთეს დროს ვერ იშოვიდა. ისტორიული ლოზუნგი „აღმოსავლეთში შეჭრა" დღეს სინამდვილეთ გადაიქცა და იგი ახლო აღმოსავლეთის სრულ ბატონ პატრონობას უახლოვდება. მას ამ შემთხვევაში ერთი დიდი მოწინააღმდეგე აღარა ჰყავს. რუსეთი როგორც სახელმწიფოებრივი ძალა, ამ ჟამათ აღარ არსებობს; მხოლოდ დარჩა ინგლისი, მაგრამ ისიც ბაღდადთან არის გაჩერებული და იმისი ძალა ჯერ-ჯერობით ისეთ საშიშროებას არ წარმოადგენს.

მაშასადამე მცირე აზიის და ახლო აღმოსავლეთის საკითხი გერმანიამ თავის სასარგებლოთ უნდა გადასჭრას და ამიერ-კავკასიის საკითხიც ამის და მიხედვით გადასწყდება.

ჩვენ ახლა მეტათ ძლიერ ძალასთან გვაქვს საქმე. ჩვენს დელეგატებს ამ ჟამათ უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან უხდება საქმე და იძულებული იქნება გერმანიის ძლევა-მოსილებას ასე თუ ისე დაემორჩილოს. ჩვენ ვამბობთ უნდა დაემორჩილოს, ვინაიდან ამიერ-კავკასიის შინაური ძალა ყოველ მხრივ დასუსტებულია. სხვადასხვა ინტერესები, სხვადასხვა ორიენტაციები და ამასთან მოწინააღმდეგეს გარკვეული გეგმა ჩვენს დელეგატებს მეტათ გაუძნელებს საქმის გადაწყვეტის დროს თავის სურვილების გატარებას. ბოლოს და ბოლოს გადამჭრელი მნიშვნელობა გერმანიას ექნება. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ან უკეთ სწორეთ ამიტომ ჩვენმა დელეგაციამ დიდი მუყაითობა და ერთსულოვნობა უნდა გამოიჩინოს და გარკვეული პროგრამით იმოქმედოს, რომ ამით ამიერ-კავკასიის ინტერესები დაიცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლები ჩვენს ხელზე თავისებურ ოპერაციას მოახდენენ და ამიერ-კავკასიის ბედს ისე გადასწყვეტენ, როგორც ამას მათი იმპერიალისტური ინტერესები მოითხოვს...

მის მძიმე უღელ ქვეშ გასასრესათ არ გახდეს და ბათუმის მოლაპარაკება ასე თუ ისე ჩვენს სასარგებლოთ დავამთავროთ.

## ამიერ-კავკასიის მომავალი წყობილება

როცა ამიერ-კავკასია ოფიციალურათ ჩამოშორდა რუსეთს, სეიმმა მომავალი წყობილების წესიც განსაზღვრა: ეს არის ფედერაცია. ჩვენმა პარტიამ სეიმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახით შეგნებულათ მისცა ხმა ამ დადგენილებას, რესპუბლიკის ფედერატიულათ მოწყობა საუკეთესოთ აღიარა. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ დარწმუნებული ვიყოთ, რომ უსათუოდ ფედერაცია გაიმარჯვებს, რადგან კარგათ ვიცით, რომ გარს აუარებელი უკულტურო ძალა გვახვევია. მეტსაც ვიტყვით: შეიძლება, მართალნი გამოდგნენ ისინი, ვინც ამბობს—ჩვენი კონსტიტუციის ბედი ბათუმში ან ბერლინში გადაწყდებაო.

ჩვენ სახეში გვაქვს ნორმალური პირობები. და კითხვა იბადება: როგორი წყობილება იქნება უმჯობესი ამიერ კავკასიის დემოკრატიის ინტერესების თვალსაზრისით?

პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს არა ფორმას, არამედ შინაარს. ამიტომ ჩვენც არ უნდა გვაშინებდეს ის აურ-ზაური, რომელსაც სხვადასხვა ჯურის რომანტიკოსები ასტეხენ და ცენტრალისტობას გვიკიჟინებენ. შეცვლილ პირობების მიხედვით ჩვენ დღეს ფედერაციას ვუჭერთ მხარს და ჩვენს მოწინააღმდეგეებთან შედარებით ისევ ცენტრალისტები ვართ: კონფედერაციის საწინააღმდეგოთ ჩვენ ვაყენებთ ფედერაციას, რომელიც შედარებით უფრო ძლიერს კავშირს გულისხმობს ცალკე ნაწილთა შორის. რატომ ვიქცევით ასე? იმიტომ, რომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ განვითარებისათვის ხელის შეწყობას. კონფედერაცია კი ამ განვითარებას ხელს უშლის. საინტერესოა, რომ კონფედერაციის მომხრენი სრულებით გვერდს უვლიან საკითხის ამ მნიშვნელოვან მხარეს და ფორმალურ, განყენებულ პრინციპს აყენებენ. ნაციონალ-დემოკრატები მაგალითად, ასე ასაბუთებენ კონფედერაციის უპირატესობას: „კონფედერატიული მოწყობა ამიერ კავკასიის სახელმწიფოსი ერთის მხრით გამომდინარეობს ეროვნულ თვითშეგნების იმპერატიულ მოთხოვნილებიდან, როგორც ლოღიკურათ სწორი დასკვნა არსებულ პოლიტიკურ სოციალურ მდგომარეობისა სხვადასხვა კულტურულ საფეხურზე მდგომ ხალხისა და მეორის მხრივ არ ეწინააღმდეგება ამიერ კავკასიის სახელმწიფოებრივ ნორმალ კავშირსა და მთლიანობას". მაშასადამე, ეროვნულ-დემოკრატების აზრით, კონფედერაცია წარმოადგენს ეროვნულ თვითშეგნების ნაყოფს.

მერე მართალია ეს? ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ კონფედერაცია ეროვნულ თვითშეგნების მოთხოვნაა? ჩვენ ასეთ მოთხოვნას არსად შევხვედრივართ, თუ რასაკვირველია, ეროვნულ მოთხოვნათ არ ჩავთვლით ეროვნულ დემოკრატების მცირე ჯგუფის სურვილს. მაშასადამე კონფედერაციის საჭიროებას ნაციონალ-დემოკრატები ასაბუთებენ მხოლოდ და მხოლოდ... საკუთარ სურვილით. ამაზე უფრო საბრალო საბუთის წარმოდგენაც კი ძნელია. ამ დადებით ხასიათის საბუთს ნაციონალ-დემოკრატები უმატებენ მეორეს—უარყოფითის ხასიათისას. საბუთს: კონფედერაცია არ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკასიის ნორმალ კავშირსა და მთლიანობასო.

ეს მტკიცება არ არის მართალი. კონფედერაციის აუცილებელ თვისებათ თვლიან ნაციონალ-დემოკრატები „სეცესსის", ესე იგი კავშირიდან გამოსვლის უფლებას: ერთ მშვენიერ დღეს, მაგალითად, ამიერ-კავკასიის კონფედერაციის მონაწილე ადერბეიჯანი თუ ამას მოისურვებს, კავშირიდან გავა. რა დარჩება ამის შემდეგ იმ ახირებულ მთლიანობისაგან, რომელსაც ნაციონალისტები ვითომდა სცნობენ. ჩვენ, რასაკვირველია, არ უარვყოფთ იმას, რომ როგორც „საქართველო" სწერს, „პოლიტიკურ კომბინაციათა შეცვლამ ქართველი ერი, მოსალოდნელია, სრულ პოლიტიკურ გამოყოფამდე მიიყვანოს". მაგრამ კონსტიტუ-

კანონს, რომ იქნებ ხვალ ის „ვალაცამ" გააუქმოს.

ორში ერთი: ან უნდა დარჩეს ამიერ-კავკასია ერთ მთლიან სახელმწიფოთ, (რასაკვირველია არა ცენტრალისტურ სახელმწიფოთ), ან ის უნდა დაიყოს და დანაწილდეს. „სეცესსიის" უფლება კი ამ დანაწილებას მოასწავებს. გვეტყვიან: ეს არის მხოლოდ უფლებაო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკონომიურ განვითარების ტენდენცია ცენტრალიზმისაკენ მიაქანებს ყველა სახელმწიფოს, რის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ჩრდილო ამერიკის შტატების და შვეიცარიის კონსტიტუცია, რომელიც პირველ ხანებში უფრო სუსტად აკავშირებდა ცალკე ნაწილებს და შემდეგში ეს კავშირი თანდათან ძლიერდებოდა. შეუძლებელია ჩვენში სხვა გზით წავიდეს ეკონომიური განვითარება, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩვენში კაპიტალიზმის აღორძინება დანაწილების ეკონომიურ აუცილებლობას გამოიწვევს. ამიტომ „სეცესსიის" უფლება მიგვაჩნია ჩვენ ლოღიკურ დასკვნათ სრულ დანაწილებისაკენ და გვიკვირს, ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები და მუსულმანური „მუსსავატი" რატომ ვერ ამჟღავნებენ პირდაპირ თავის პოლიტიკურ რწმენას და რატომ აშკარათ არ ამბობენ, რომ სრული გამოცალკევების მომხრენი არიან. ანგარიშში მისაღები არ არის ნაციონალ-დემოკრატების საბუთი: „არსებული პოლიტიკური შეგნება უარსა ჰყოფს ძალადობას, მით უმეტეს ისეთ უდიდეს საკითხში, როგორიც არის სახელმწიფოს მოწყობა და ჩვენს დემოკრატიულს მმართველობას არ შეშვენის ძალის მეთოდით ხელმძღვანელობა მონოლითისაკენ მიმავალ ეროვნებათა სახელმწიფოებრივ აღზრდაშიო". ჯერ ერთი, სახელმწიფოს შენების დროს ვერ ვიხელმძღვანელებთ განყენებულ დიდაქტიურ მეთოდით, რაც შეეხება ნამდვილ სახელმწიფოებრივ აღზრდას, ეს მიზანი საუკეთესოთ იქნება დაცული, თუ დემოკრატიის განვითარებას ბუნებრივი საშუალება არ მოესპობა. რაც შეეხება ძალადობას, ის რასაკვირველია, არ არის დასაშვები და ჩვენც ამ ძალადობის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ვერ გაგვიგია, რა მოსატანია აქ ძალადობა? თუ ძალაზეა ლაპარაკი, ძალა ხომ აუცილებელი ელემენტია სახელმწიფოებრიობის და თუ ერთს რომელიმე სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს ძალა, რატომ არ შეიძლება ამ ძალამ დააკავშიროს რამდენიმე სახელმწიფო ეკონომიურ ურთიერთობის საფუძველზე?

ვიმეორებთ: ჩვენ წინააღმდეგი ვართ კონფედერაციის იმ ტიპას, რომელიც „სეცესსიის" უფლებას გულისხმობს. ჩვენი საბუთია—ეკონომიურ განვითარების და დემოკრატიის ინტერესები და ვინც კონფედერაციას მოითხოვს, კარგი იქნება ამ საბუთის გაბათილებას იკისრებდეს.

## შეიძლება თუ არა ოზურგეთში დაბრუნება?

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მთავრობის მიმართვა გურიის ლტოლვილთადმი: მთავრობა ურჩევდა ხალხს შინ დაბრუნებას და ჩვეულებრივ ცხოვრების განგრძობას. ეს მიმართვა ჩვენ უშენიშვნოთ დავბეჭდეთ, რადგან გვეგონა, რომ არავითარ გაუგებრობას არ გამოიწვევდა ის. მკითხველებმა თურმე სულ სხვა ნაირათ გაიგეს ის: უფიქრიათ, შინ დავბრუნდებით და იქ ჩვეულებრივ მშვიდობიან ცხოვრებას განვაგრძობთო. ახლა გვისაყვედურებენ: ზოგიერთები დაბრუნდენ, მაგრამ ათას გვარ უსიამოვნებას გადაეკიდენო, და მოჰყავთ ძარცვა-გლეჯის და ცემა-ტყეპის მაგალითები.

ამის გამო ჩვენ საჭიროთ ვთვლით განვაცხადოთ შემდეგი: ოსმალეთის მთავარსარდლის ვეხიბ-ფაშის განცხადება ჩვენ გულწრფელ განცხადებათ მიგვაჩნია, ოსმალეთს არ შეიძლება მიეწეროს ხალხის შეწუხების სურვილი. მაგრამ იმ ადგილში, რომელშიაც ჯარია დაბანაკებული, შეუძლებელია წესიერება არ დაირღვეს და არავის არ შეუძლია მცხოვრებთათვის რაიმე გარანტიის მიცემა. ამიტომ იყო, რომ ჩვენ ყოველთვის თავდაცვის საჭიროებისაკენ მოვუწოდებდით უფრო, სუმცა არასოდეს არ გვიფიქრია, რომ ვეხიბ ფაშა ან სხვა რომელიმე სარდალი აწიოკების მომხრეა.

ვიმეორებთ: სასურველია, ხალხი თავის კერას დაუბრუნდეს, მაგრამ არავის არ შეუძლია

იმის თქმა, რომ შინ დაბრუნებულს არავითარი უსიამოვნება არ შეხვდება. ხალხმა თითონ უნდა გადასწყვიტოს ეს კითხვა ადგილობრივ: თუ დაინახავს, რომ დაბრუნება მოსახერხებელია და სასარგებლო დაბრუნდეს, თუ არა და ისევ გარეთ დარჩეს. ბრძანებებით და ლამაზი სიტყვებით ასეთი საქმის მოგვარება შეუძლებელია.

## ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან

ვინაიდან სახალხო კომისართა მთავრობამ გააუქმა რუსეთის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი და ამის გამო შესწყვიტა „კუპონების" განაღდება, სარგებლიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა და აგრეთვე ამგვარი ქაღალდების მთავრობის დაწესებულებათა მიერ საწინდრათ მიღება, უკანასკნელ ხანებში მრავლათ მოაქვთ რუსეთიდან სარგებლიანი ქაღალდების „კუპონები" ამიერ-კავკასიაში, რომელ „კუპონებსაც" დღემდე დაუბრკოლებლათ იღებენ ჩვენში ხაზინებში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში. ამ მოვლენას საფუძვლათ უდევს სპეკულიაციის ხასიათი, ამიტომ მან ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოსაზრებით და აგრეთვე იმის გამო, რომ ამიერ-კავკასია გამოცხადებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკათ, — ვიდრე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოკიდებულება განისაზღვრებოდეს რუსეთის სახელმწიფოსთან, ამიერ-კავკასიის მთავრობამ აუცილებლათ სცნო გამოსცეს შემდეგი დადგენილება: 1) დროებით შეჩერებულ იქნას ყოველგვარი სესხის და ვალდებულებათა „კუპონების" განაღდება; 2) დროებით შეჩერებულ იქნას სესხის გაცემა სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდების საწინდრით და აგრეთვე სახელმწიფო ბანკის მიერ ასეთი ქაღალდების შესყიდვა; 3) ამის შემდეგ შეწყვეტილ იქნას იჯარების გაცემის დროს საწინდრათ მიღება სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდებისა და აგრეთვე სააქციზო და სხვა გადასახადების ანგარიშში ასეთი ქაღალდების მიღება; 4) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ბ. რამიშვილი.**

ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გ. გ. ტერ-არუტიუნიანი.**

## საზავო მოლაპარაკება

(მთავრობის ცნობა).

ამიერ-კავკასიის მთავრობა აცხადებს, რომ საზავო კონფერენცია ბათუმში გაიხსნება ახლო მომავალში. ბათუმში ამ ჟამად ამიერ კავკასიის დელეგაციის გარდა იმყოფებიან ოსმალეთის და გერმანიის დელეგაციები. ამ დელეგაციებთან ჩვენს დელეგაციას რამდენჯერმე ჰქონდა არა ოფიციალური ხასიათის მოლაპარაკება. ახლო ხანში ბათუმში მოელიან ავსტრო უნგრეთის და ბოლგარიის დელეგაციას.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

12 მაისი.

11 და 12 მაისის თარიღით მიღებული მოხსენების თანახმად კავკასიის ფრონტზე დროებითი შერიგება არ დარღვეულა.

მოწინავე პოზიციებიდან მიღებულ მოხსენების თანახმად 11 მაისს ახალციხის მხრიდან ზარბაზნების სროლა ისმოდა.

## მუშათა წერილები

### დამოუკიდებლობა.

ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ ქვეყნათ გამოაცხადა ხალხის მიერ არჩეულმა სეიმმა, რაც ელვის სისწრაფით მოედვა დედამიწის ზურგზე მთელს ქვეყანას. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხმა უფრო ძლიერათ გაისმა ჩვენში და მოედვა ქვეყანას კიდით-კიდემდე, ქალაქიდან სოფელში, ქუჩიდან სახლში, ქარხნიდან ფაბრიკებში, პოლიტიკურ პარტიებიდან თავიანთ ორგანიზაციებში. დიდი მითქმა მოთქმა, მსჯელობა, კამათი, კმაყოფილება და ზოგ ბანაკში უკმაყოფილებაც გამოიწვია ამ ისტორიულმა აქტმა.

ზოგი ამ კითხვას პესიმისტურათ უყურებს და ამისათვის უარყოფენ, ზოგნი კი უფრო დროს შესაფერად მიაჩნიათ ქვეყნის ხსნისათ-

ვის, და მეტათ ოპტიმისტურათ უყურებენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ამ ისტორიული ნაბიჯის გადადგმის გაგონებაზე ალბათ ევროპის ხალხს, პროლეტარიატს გაუკვირდებოდა კიდეც ის, რომ ჩვენ რომელიც ას ჩვიდმეტი წელიწადია, რაც რუსეთთან ერთად ერთ ტაფაში ვიწვებოდით, ერთად ძლიერის ძალით დავამხეთ რუსეთის მტარვალობა, სამწუხაროთ რევოლიუციის მეთოთხმეტე თვეს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ ამიერ-კავკასიის.

იმ დროს, როდესაც თავისუფლების წითელი დროშა ფრიალებდა, რევოლიუციის პირველ თვეებში, როდესაც ყველაფერი მწყობრად მიდიოდა, დემოკრატია პირველ მის გამარჯვებას დღესასწაულობდა და ძველის ნანგრევებზე ახალ შენობის აშენებას შეუდგა, ევროპის პროლეტარიატი გახარებული სალამს უძღვნიდა გამარჯვებისათვის რუსეთის დემოკრატიას. აი ასეთ დროს უკრაინამ, ფინლიანდიამ და სხვა პატარა კუთხეებმა ანგარიში არ გაუწიეს რუსეთის რევოლიუციის მდგომარეობას, მის განმტკიცებას, ჯერ საერთო დიდი შენობის აშენებას და შემდეგ პატარების, და საუბედუროთ რუსეთის რევოლიუციისა, ყველა თავიანთი ქვეყნის შვილის მოგვარებას შეუდგენ, საერთო ფრონტი, რაშიაც იყო რევოლიუციის ძლიერება, დაივიწყეს და თავიანთი სეპარატიული მოქმედებით, მოთხოვნით კი რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში არევ დარევა შეიტანეს.

ამიერ კავკასია კი სდუმდა ამ მხრით და მხოლოდ ერთ მთლიან დემოკრატიულ ფრონტის გამაგრებას იცავდა. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები რაც ძალა და ღონე ჰქონდათ იბრძოდენ, მუშაობდენ ერთი მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შესაქმნელათ, გასამაგრებლად რუსეთში, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა,—სტიქიურმა გამოსვლებმა აჯობა ორგანიზაციულ მუშაობას რუსეთში. სხვადასხვა კუთხეების სეპარატიულ მოთხოვნილებასთან, რომელიც ასუსტებდა რუსეთის რევოლიუციის პროცესს, ზედ დაერთო ერთი უსაშინელესი უბედურება, რომლის შონელებას რუსეთის დემოკრატია დიდხანს მოუნდება. ეს იყო ბალშევიკების გამოსვლა, ძალა-უფლების მათ მიერ ხელში ჩაგდება. 25 ოქტომბრიდან ბალშევიკებმა რუსეთის რევოლიუცია სისხლში ჩაახრჩვეს, თავისუფლების წითელი დროშა ტალახში ამოსვარეს, საკაცობრიო იდეალს ნდობა, მნიშვნელობა დაუკარგეს. **აი ამ დღიდან იწყება რუსეთის რევოლიუციის ჩარხის უკუღმა ტრიალი** მუშათა კლასის საუბედუროთ, ამ დღიდან დანაწილდა რუსეთი სხვადასხვა კუთხეებათ ფაქტიურათ, ამ დღიდან დაიქსაქსა, დაირღვა მუშათა კლასის სოლიდარობა, ამ დღიდან განიყიდა რუსეთი ბალშევიკების მიერ და ჩვენი ქვეყანაც ზედ მიაყოლეს. უპატრონოთ დაგვსტოვეს, ოსმალეთს პირში მიგვცეს.

აი სწორედ, როდესაც ამ მომხდარ ფაქტებს გაითვალისწინებს ევროპის პროლეტარიატი —რახან ჩვენ უფრო პროლეტარიატის აზრი გვაინტერესებს,—ჩვენს გადადგმულს იძულებითი ნაბიჯს გაამართლებს, დროს შესაფერ ტაქტიკათ ჩათვლის ჩვენს მოქცევას. მაგრამ ჩვენ ხომ მარტო ევროპის პროლეტარიატის აზრი და მსჯავრი არ გვაინტერესებს, არამედ უფრო რუსეთის მუშათა კლასის, რომელთანაც ჩვენ გავიზარდეთ, შევკავშირდით, და აი, სწორედ, როდესაც რუსეთი რაიმე სახელმწიფო ფორმას მიიღებს, მუშათა კლასი გამოფხიზლდება, ადამიანი ნამდვილ ადამიანს დაემსგავსება, მუშა ნამდვილ მუშას, რომელსაც სწამს კლასიური ინტერესები და მასთან ერთად ერი, კულტურა, ქვეყანა, გაითვალისწინებს რა მის მიერ ნამოქმედარ რევოლიუციაში ისტორიის ფურცლებს, შეადარებს ეხლანდელ ჩვენს საშინელ სწორო მდგომარეობას და იტყვის თავის სიტყვას ჩვენი მოქმედების, ნაბიჯის შესახებ: ან გაჰკიცხავს ან სალამს მოგვცემს შორიდან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შეგნებული პროლეტარიატი რუსეთის ჩვენს იძულებით ნაბიჯებს გაამართლებს და სალამს მოგვცემს რახან დარწმუნდებიან იმაში, რომ ჩვენ კი არ ვუღალატეთ, არამედ— [illegible] რუსის მასსის შეუგნებლობამ, [illegible] რევოლიუციის მეთოთხმეტე თვეს გარეშე მტრის რკინის სალტით შემოჭ[illegible] [illegible] გადაგვიდგა ჩვენი ხალხის [illegible] გადასარჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც შვილი მამას ვერ სცნობს, ძმა-ძმას, მუშა-მუშას, ქალაქი ქალაქს დაშორდა და რესპუბლიკები დაიარსეს თავიანთვის ყველამ; იქ, სადაც სამოქალაქო ომია გაჩაღებული, პროლეტარიატის საუკეთესო ბელადებს შუბლს უხვრეტავენ და მთელი რუსეთი საფარფაშოთ პრბოის ნაძირალებს დარჩათ ხელში, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხთან განა შეიძლებოდა რაიმე კავშირი? რა თქმა უნდა არა.

ჩვენ ამ ანარქიის გამო უკვე კარგი ხანია ჩამოვშორდით რუსეთს, უკეთ რომ ვსთქვათ, თვითონ ჩამოგვიშორეს და დღეს, როდესაც უკვე ჩამოშორებულმა ქვეყანამ იურიდიული სახე, ფორმა მიიღო, ჩამოყალიბდა, ზოგიერთ ამხანაგებში, განსაკუთრებით სომეხ-რუს ზოგიერთ ამხანაგებში დამოუკიდებლობის გამოცხადება რაღაცა უკმაყოფილებას იწვევს, ვერ ურიგდებიან იძულებით მომხდარ ფაქტს.

მე არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ დამოუკიდებლობა უეჭველად გვიხსნის იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, მხოლოდ მწამს ის, რომ სხვა ახალი საიმედო გზა არსაიდან არ სჩანდა.

მაგრამ ახლა გვიანია იმაზე ლაპარაკი,— სწორი ნაბიჯია დამოუკიდებლობის გამოცხადება ოფიციალურად თუ არა. ამაში კი არ უნდა იყოს დღეს საქმე, რადგანაც უკვე ნაბიჯი გადიდგა, ფაქტი მოხდა, მთელმა ქვეყანამ გაიგო, ზოგმა სახელმწიფომ უკვე იცნო კიდეც ჩვენი დამოუკიდებლობა, რითაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალი ხანა იწყება. ამისათვის ეხლა ეს უკვე გადადგმული ნაბიჯი, საისტორიო აქტი ცხოვრებაში უნდა გავატაროთ, გავამაგროთ ის, რისი დამოუკიდებლობაც გამოვაცხადეთ. ეხლა უკან დახევა აღარ შეიძლება, უკვე გვიან არის, საჭიროა წინ წასვლა, რაც მიზნათ დავისახეთ, იმის განხორციელება.

მთელი ჩვენი პარტიული აპარატები, რევოლიუციონური ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ძალა და ღონე უნდა ავამუშაოთ საისტორიო აქტის დასაცავად. ჩვენი პარტია იმითი იყო ძლიერი, ნაყოფიერი, რომ ჩვენ გვქონდა ყოველთვის მაგარი პარტიული დისციპლინა. ყოველთვის დადგენილებებს პარტიისას ვიცავდით, ვატარებდით ცხოვრებაში შეურყევლათ, რა ფასადაც უნდა დაგვჯდომოდა ის. ასეთია დღესაც დამოუკიდებლობის კითხვა. პარტიამ, ფრაქციამ მიიღო და ჩვენც ერთსულოვნად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ჩვენი დადგენილება, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის და თავისუფლების ბედი.

ამისათვის ზოგიერთ სომეხ-რუს ამხანაგების ორჭოფულ მოქმედებას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვჩვევია დაშნაკცუტუნის პარტიისებური ორმაგი ბუღალტერიის წარმოება პოლიტიკაში, ჩვენი გზა, ტაქტიკა, პოლიტიკა ერთია ყოველთვის, ყველა ამხანაგები ამ ერთ გზას უნდა გაყვენ.

ყველა ეროვნული საბჭოები, დაწესებულებები, სხვადასხვა პოლიტ. პარტიები, რომლებსაც მართლა გულწრფელათ სურთ ხალხისათვის კარგი, უნდა ამოქმედდენ მთელი თავისი ღონით. იმ პარტიებს, რომლებიც თეორიულათ ეტრფოდენ ფედერატიულ რესპუბლიკას, დღეს, როცა კითხვა მიდგა თეორიის პრაქტიკულათ განხორციელებაზე, ერთი ორათ უფრო მართებთ თეორიით გაცემული ვალის განაღდება ხალხში—ხალხისათვის. იმათი უპირველესი მიზანი უნდა შეადგენდეს ამიერ-კავკასიის დაცვას, ნამდვილ შემოქმედებითი მუშაობას, კინკლაობის დავიწყებას. ვინც ეხლა, ამ მძიმე საბედისწერო მომენტში ჩვენ მთავრობას, რომელზედაც არის დაკისრებული ერთობ მძიმე მოვალეობა, არ დაეხმარება, რითაც შეუძლია, ამა თუ იმ პარტიას ან ჯგუფს, ისინი იქნებიან მოღალატეები იმ ერის, რომელსაც თვით ეკუთვნის და მასთან ერთად მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის. მაშინ დამტკიცდება მათი ცბიერობა და ისტორიის წინაშე არ მოშორდება შავი ლაქა მოღალატეობის.

გვახსოვდეს, ამხანაგებო, ჩვენი ცხოვრების ახალი ხანა იწყება. მაშ, ყველა საქმისაკენ.

აკ. პლებეიშვილი.

### სადღეისო

ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით გურია, სურსათის მხრით უნუგეშო მდგომარეობაშია.

წასულ წელს მოსავალი ნაკლები იყო, ამას დაუმატეთ ფრონტის სიახლოვე, რომელიც ზედმეტ ხარჯებში აგდებს მხარეს და მკითხველი დამეთანხმება, რომ გურიას ეხლავე უნდა მიაწოდონ, საიდანაც იქნება სიმინდი, თორემ გურია დაიღუპება.

ჩემის აზრით მეზობლათ, სამეგრელოში იშოვება სიმინდი, ამისთვის ფულია საჭირო, თვით გურულებს ფულის შოვნა არ შეუძლიათ, რადგან ყველა ფრონტზე სდგას მტრის პირის პირ.

ასეთ დროს ხალხს სახელმწიფო სესხით უნდა მიეშველოს, სხვა გამოსავალი გზა არ არსებობს.

ზოგიერთ ალაგას შიგნით, გურიაშიც მოიძებნება ცოტა სიმინდი, მაგრამ ადგილობრივი სასურსათო კომიტეტები ვერ იჩენენ სათანადო ენერგიას, რომ შინახონ, ზედმეტი სიმინდი ჩამოართვან და კოოპერატივებს გადასცენ. მხოლოდ ეს ქნეს, რომ სოფლიდან სოფლად სიმინდის გატანა სასტიკად აკრძალეს, მაგრამ ამით მაინც ვერაფერი გააკეთეს.

წელს რომ ასეთი გაჭირვებაა გურიაში უსიმინდობით, მომავალ წელს კიდევ უარესი

მთელის ხალხს, რადგან ყველა ჩაწერილია სამხედრო სამსახურში და ემზადება ომისთვის. ეს ჩემი აზრით აიხსნება რევოლიუციის სიერთგულით და მასთან მეზობელთა ერთი მეორეის ქინიანობით. მე დარწმუნებული ვარ მუქთათ არავინ დაეხმარება გურიას, გურია შიმშილში დალევს სულს და მტრის მარტო გამკლავებასაც ვერ შეიძლებს.

ჩემის აზრით, მთელმა ამიერ-კავკასიამ უნდა შეასრულოს მთავრობის ბრძანება და რომელი მხარეც ან პიროვნება არ შეასრულებს, სათანადო ძალამ ის უნდა დასაჯოს.

თუ ყველა მხრიდან გამოვა მეომრები, საყოფზე მეტი იქნება და თითო მარჩენალი თითო ოჯახს მაინც შერჩება.

ს. ებრალიძე.

## რუსეთში

ამ სათაურით „ს. დ“.-ში მოთავსებულია ამხ. გ. მურვანიძის წერილი. მას მარტის თვეში 23 დღე უმოგზაურია ირკუტსკიდან ქუთაისამდე.

ასწერს რა რუსეთის რკინის გზებზე გამეფებულ წეს რიგს თუ უწესოებას ის სხვათა შორის, სწერს:

„თითქმის ყველა სადგურებში მგზავრებს მოელის ორნაირი გამოცდა. ერთი სამხედრო კომისარისაგან და მეორეც წითელი რაზმისაგან. სამხედრო კომისარი სინჯავს ვინაობის გამოსარკვევ დოკუმენტებს. უპირველესობა ეძლევა მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების მიერ მიცემულს დოკუმენტებს ან და სპეციალურ პროპუსკებს ბოლშევიკების მიერ მიცემულს. მე მქონდა პოლიტიკურ გადასახლებულთა კომიტეტის მოწმობა, რომელიც პროპუსკის მაგიერობას ასრულებდა, თუმცა ერთ ადგილას საეჭვოთ მიიღეს. რადგანაც მათის აზრით ყოფილ პოლიტიკურებს შორის უმრავლესობა „კონტრ-რევოლიუციონერებია“, როგორც მაგალითად: წერეთელი, გოცი, ვოიტინსკი და სხვები. უმეტესს შემთხვევაში კომისარები და მათი მხლებლები სრულიად უვიცნი, გაუნათლებელნი და პოლიტიკურათ შეუგნებელნი ადამიანები არიან. ბევრი მათგანი დოკუმენტებს ძლივს კითხულობს და წაკითხულისაც არაფერი გაეგებათ, რაც ღიმილს იწვევს მგზავრებში, მაგრამ ხმა მაღლა გამოთქმა თავის აზრის ყველას ეშინია, რათა არ მიაბრძანონ კომისარიატში, როგორც არა საიმედო პირნი. შედავება, რაიმეს შეკითხვა, ან რაიმე უკანონობაზე პროტესტის გამოცხადება ყოვლად შეუძლებელია თუ გინდა დაჭერა ან თოფის კონდახები აიცილო“.

ამიერ-კავკასიის შესახებ, ჯერ კიდევ სეიმის მიერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდის ხმები გავრცელდა კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორების შესახებ. ამიერ-კავკასიის მიერ ოსმალეთთან ომის დაწყებამ ამ ხმებს ხელი შეუწყო, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბოლშევიკურ რუსეთში და შედეგათ მოყვა ამიერ-კავკასიის და განსაკუთრებით კავკასიელ მენშევიკების წინააღმდეგ ხულიგანური აგიტაციის გაჩაღება. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის აზრს კავკასიის შესახებ შეგნებული რუსეთი არ იზიარებს, პირიქით ამიერ-კავკასია სოციალისტურ რუსეთში დიდ აღფრთოვანებას იწვევს. ბოლშევიკების აგიტაციას ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ ნაყოფი გამოუღია. ქ. როსტოვიდან დაწყებული ქ. სოხუმამდე და როსტოვიდან ქ. არმავირამდე — კავკასიელებისათვის მოგზაურობაც კი საშიშია. თვით ბოლშევიკების არმიის წარმომადგენლების სიტყვით ისინი დიდძალ ჯარს აგროვებენ ამიერ-კავკასიაში გამოსალაშქრებლად, რომ აღადგინონ „კონტრ-რევოლიუციონურ“ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა მთავრობა. მათ ვერ მოუთმენიათ რევოლ. ამიერ-კავკასია და ნაცვლად დახმარებისა ოსმალეთის შემოსევისაგან, მზათ არიან ამიერ-კავკასიის მიდამოებში გააჩაღონ სამოქალაქო ომი და სისხლში ჩაახრჩონ რევოლიუცია.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

12 მაისი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირებს და იუიონს შუა საარტილერიო სროლაა.

**ბერლინი.** კემელის ახლოს საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ფრანგების იერიშები კემელის ჩრდილოეთით და ლოკერთან მოვიგერიეთ. სომმის ფრონტზე ქვეითა ჯარების სასტიკი ბრძოლაა. აველკის ტყეში ინგლისის ჯარების იერიში უშედეგოთ დამთავრდა. შამპანში და პანტა მუსონის ჩრდილო აღმოსავლეთით ფრანგთა ბატალიონების იერიშები მოვიგერიეთ. აპრემონის და პარრუას სამხრეთ-დასავლეთით მოვიგერიეთ ამერიკის ჯარების იერიშები.

10 მაისს დილის 3 საათზე ოსტენდეს „ფორტებისთვის“ სროლით მტრის რამდენიმე გემებმა სცადეს ნავთ-სადგურში შემოჭრა, მაგრამ სანაპირო ბატარეების საშუალებით გაფანტულ იქნენ. მტრის ერთი ძველი ჯავშნიანი გემი არხის შესავალში არის სრულიად დამსხვრეული. არხში შესავალი თავისუფალია. მტრის ორი მოტორიანი ნავი დახვრეტილ იქნა. ასე რომ, ოსტენდეს არხის ბლოკადის განზრახვა მტერმა სისრულეში ვერ მოიყვანა.

**ბუქარესტი.** მეფის ბრძანებით დათხოვნილ იქნა რუმინიის ორივე პალატა. ახალი არჩევნები მოხდება 1—15 ივნ. სამდე.

13 მაისი.

**სტამბოლი.** მდ. იორდანეს ნაპირათ დაბანაკებული მტრის ესკადრონი გავრეკეთ. საარტილერიო მომზადების შემდეგ კემელის ჩრდილოეთით და ლისის სამხრეთით მტერმა შეტევა დაიწყო. კემელის ჩრდილოეთით უკუვაქციეთ ფრანგები.

**ბუქარესტი.** ზავის შეკვრის გამო რუმინიის მთავრობამ მანიფესტი გამოსცა, რომლითაც აცხადებს, რომ მებრძოლ სახელმწიფოებთან ნორმალური დამოკიდებულება აღდგენილია და რუმინია ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფება.

**სევასტოპოლი.** ამ დღეებში კურსკში დაწყებულ რუსეთ უკრაინის საზავო მოლაპარაკების გამო იქ გაემგზავრა რუსეთის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

**საქართველოს ეროვნული საბჭო.** დღეს, საშაბათს, საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება,—კამათის გასაგრძელებლად ამიერ-კავკასიის და საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენის თაობაზე. ცალკე მოწვევის ბარათები წევრებს არ დაეგზავნებათ. კანდიდატთა დასწრება საჭიროა.

**პურის მოსავალს** სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ცნობით ყველგან ამიერ-კავკასიაში კარგი პირი აქვს.

**მთავრობის სხდომაზე** მაისის 9 დაადგინეს: რადგან ამიერ-კავკასიაში რუსობა უმცირესობას შეადგენს, რუსულ ეროვნულ საბჭოს უფლება მიენიჭოს ერთი წარმომადგენელი გაგზავნოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემდგენელ კომისიაში. ასეთივე შუამდგომლობა გერმანელთა ეროვნულ საბჭოსი განსახილველათ საგანგებო კომისიას გადაეცა.

**თფილისის საადგილ-მამულო** გამგეობამ თითეულ მაზრისთვის ცალკე შეიმუშავა სია იმ მამულებისა, რომლებიც სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით დიდ საფასურს წარმოადგენენ; გორის მაზრაში ამისთანა მამული 13-ია ბაღებით. თითო—10—20 დესეტინა, სიაში შედის აგრეთვე ბორჯომის ფერმა. ბორჩალოს მაზრაში ამისთანა მამ[illegible] რომლებშიაც მეჯოგეობა და ფერმებია მოწყობილი სულ 15.

**სახელმწიფო ბანკის** მიერ კერძო საკრედიტო დაწესებულებებისათვის ფულის სესხების შესახებ მთავრობამ დაადგინა ფინანსთა მინისტრს ევალება ამის შესახებ მთავრობას 3 დღეში შესაფერი მოხსენება წარუდგინოს, მანამდე კი კერძო საკრედიტო დაწესებულებებს სახელმწიფო ბანკმა აღარ უნდა მისცეს ფული გირაენობის ქაღალდების საფასურად.

**დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა ელლინთა პოლკის პრაპ. ელევტეროვი სროლისთვის, რუსულ პოლკის მოხალისენი ლავ. რეპინი და ზაქ. კრასნაროვი სახაზინო საგნების გაყიდვისთვის, მოქ. ძმ. კილინკაროვები— ვინტოვკის და სხვა იარაღის გაყიდვისთვის, გენ. გაბაშვილის მცველი ნ. ბორაზდინი და სამხ. მოხელე ივ. ბორაზდინი ქალზე თავდასხმისთვის ნამუსის ახდის მიზნით.

**ერევნიდან** აგენტი აფრიდონიძე გზათა მიმოსვლის მინისტრს ატყობინებს: № 731 მატარებლის მემანქანის სიტყვით, რომ ყარაბურუნ-ბასტარას შუა მატარებელს ქურთები დაესხნენ თავს. ორთქლმავალი დააზიანეს და მოძრაობა აღარ შეუძლიან.

**განჯიდან** ხასმამედოვი მთავრობას ატყობინებს: დღეს, სამსახურის ასრულების დროს ფეხში დასჭრეს სად. ძეგამის ერთი მცველი. დაუსჯელობა ათამამებს ყაჩაღებს, ამიტომ შევადგინე ასკერთა ახალი რაზმი, რომელსაც ერთი აფიცრის მეთაურობით იქა ვგზავნი. ერთხელ კიდევ გთხოვთ გამოგზავნოთ ჯავშნიანი მატარებელი.

**სწავლა-განათლების** მინისტრს წინადადება მისცეს წარმოადგინოს პროექტი მასწავლებელთა კურსებისა ქართულ, თურქულ და სომხურ ენებზე.

**მთავრობამ** დაადგინა განკარგულება გასცეს, რომ გასაუქმებელ დაწესებულებებს აეკრძალოთ რაიმე ქონების გაყიდვა სურსათის მიმწოდენ კომიტეტის ნებადაურთველად.

**ბეითალთა და ფერშალთა** ყრილობაზე, რომელიც მოხდა 2 აპრილს 1918 წ. არჩეულ იქმნა ამიერ-კავკასიის სავეტერინარო საქმეების გამგეთ ბიურო, რომელიც შესდგება სამი პირისაგან. არჩეულ იქმნენ ამ ბიუროში თავმჯდომარეთ ლ. ლაშხაური და მის ამხანაგებათ ს. ახმეტელაშვილი და ბურცევი.

**ბათუმის ნავთსადგურის** მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ მთავრობამ სამხედრო მინისტრს გადასცა 150,000 მან.

**დამტკიცებულ იქნა** მიწათმოქმედების სამინისტროს მოსამსახურეთა შტატი.

**ყველა სამინისტროებმა** სეიმს წარუდგინეს თავთავიანთი მოსამსახურეთა შტატის და შესაფერ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. სეიმმა პროექტი უარყო, რადგანაც თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა შეერთებულ შტატებისათვის მიეწყო, როგორც ეს განზრახულია, მაშინ თითო კანტონს მოსამსახურეთა ცალკე შტატი ეყოლება.

**თფილისის საადგილმამულო კომიტეტი** შუამდგომლობს გლეხთა საოლქო ცენტრის წინაშე ნება მისცენ მის წარმომადგენლებს კიდევ დარჩნენ ადგილობრივ აგიტაციისთვის, რადგანაც უკანასკნელის შემწეობით რეფორმის განხორციელება ადვილდება.

**ოთხშაბათს, 15 მაისს,** საღამოს 5 საათზე „ნაძალადევი“-ს თეატრში გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება.

**ალავერდის** სპილენძის საზოგადოებასა და მუშების შორის უთანხმოების შესაწყვეტათ შრომის სამინისტრომ ალავერდში ელბაქიანი გაგზავნა. ხსენებული უთანხმოება აბრკოლებს „ალავერდის საზოგადოების“ გაუქმებას.

**ევლახიდან** ხასმამედოვი დეპეშით სთხოვს მთავრობას განკარგულება გასცეს, რათა ჩქარა გაუგზავნოს სურსათი და ბაქოს რაიონის მოსამსახურენი და მცველები დააკმაყოფილონ. ამასთანავე ატყობინებს მთავრობას, რომ ძეგამში უკვე აღმოაჩინეს 2 ქალის მომტაცებელნი და ნამუსის ამხდელნი. მოკლულია უფროსი მცველი მამედ ველიევი. დოვლარ-ძეგამ-კოვლარის რაიონში წესიერების აღსადგენათ საჭიროა გამოგზავნოთ ჯავშნიანი მატარებელი, ჩვენი შესაკეთებელია. გამოგზავნეთ ამასთანავე ძლიერი რაზმი სამოქალაქო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ. ხალხმა თავი აიშვა. მოსალოდნელია ექსცესები.

**საქართველოს სამხედრო გზა.** ამ ბოლო დროს ზოგიერთ გაზეთებში იყო მოყვანილი ცნობები, ვითომც საქართველოს-სამხედრო გზაზე ძარცვა-გლეჯა იყოს გამეფებული. ამით ვაცნობებ ყველას, რომ ამ გზაზე თფილისიდან დარიალის ხიდამდე, რომელსაც იცავს ქართული დარიალის ბათალიონი, ჯერ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მგზავრების გაძარცვისა. რაც შეეხება გზის იქით ნაწილს, ლარსიდან ბალტამდის, რომელსაც იცავენ ინგუშები, მართლაც ამ მოკლე ხანში რამდენიმე შემთხვევა იყო მგზავრების გაძარცვისა. მგზავრებს ვსთხოვ დარიალიდან ინგუშების „პოსტამდე“ ჩემგან ყარაულები თან წაიყვანონ. ქართული დარიალის ბათალიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი ა. აბესაძე. მცხეთა 12 მაისი.

## პროვინციის ქრონიკა

**სამტრედია.** ამ დღეებში სამტრედიის რაიონის მ. ჯ. კ. და გლ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა შეედგინა ქ. სამტრედიაში რევოლიუციონური ტრიბუნალი. ხსენებულმა კომიტეტმა ეს დავალება უკვე შეასრულა—მან აირჩია ტრიბუნალში ყველა თანამდებობის პირები, რომლებიც 6 მაის საბჭოს მთელმა კრებამ კიდეც დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც გარეშე მტერი კარზე მოგვდგომია და ჩაყლაპვას უპირებს არა თუ დიად რევოლიუციის მიერ მონაპოვარ თავისუფლებას, არამედ მთელი ხალხის თვით ფიზიკურ არსებობასაც და ამასთანავე ოთხი წლით ომიანობის გამო მშრომელი ხალხი უკიდურეს მდგომარეობას განიცდის, ამისთანა დროს ჩვენში ვისმესაგან ანარქიის გამოწვევა და საზოგადოებრივ წესიერების დარღვევა ნიშნავს დაბეჩავებულ ხალხის აშკარა ღალატს. ამიტომ ჩვენც იძულებული შევიქენით რევოლიუციონური ტრიბუნალი დაგვეარსებია საზოგადოებრივი დამნაშავეების დასასჯელათ. იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ არავისი დასჯა არ გვიხარია, მაგრამ, როდესაც რომელიმე პირის ან ჯგუფის მოქმედება არღვევს მთელს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და მით ღუპავს ყველაფერს, ჩვენ ამისთანა პირების დასჯა არ დაგვენანება. დაბეჯითებით ვთხოვთ ყველას, სასტიკათ დაიცონ საზოგადოებრივ წესიერება და რევოლიუციონური დისციპლინა. მოგიწოდებთ ყველა—მოგვეხმარომ თქვენი მოქმედებით, რომ არავინ დაისაჯოს. გახსოვდეთ, რომ რევოლიუციონური ტრიბუნალი მრისხანეა.

**გორი.** შესდგა მაზრაში ერობის შემომღები კომისია, რომელშიაც სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდენ. ამოირჩეულ იქმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ ექიმი მ. ს. კობერიძე, ამხანაგათ ექიმი ხუციშვილი, მდივნათ მ. პ. კინწურაშვილი.

მაზრაში ბნელი ძალები კვლავ ამოძრავდენ. იმართება ჩუმი მიტინგები სხვადასხვა ადგილას. მეტად საჭიროა ყველა ამას შესაფერი ყურადღება მიექცეს დროზე. დაყოვნება შეუძლებელია.

**დ. ჩოხატაური.** ამინდები მშვენიერია, მაგრამ გლეხებს მუშაობაზე სრულიათ არ მიუდით გული. ბევრი ადგილები რჩება დაუმუშავებელი. ზოგიერთი ჯარისკაცები, რომლებიც პოზიციებზე იმყოფებოდენ ჩამობრძანდენ ამ დღესასწაულებზე და სოფლებში ერთი აურ-ზაური ასტეხეს. საითაც გაიხედავთ, ყველგან თოფის სროლაა. რვა მაისს დილით ისეთი სროლა იყო, რომ არც ოზურგეთის აღების დროს დაუწვავთ ამოდენა ტყვია. საუბედუროთ ამ მოვლენას არავინ ყურადღებას არ აქცევს.

**ყვირილა.** აქ ყოველ ღამე გაუთავებელი სროლაა. თავზე ხელაღებული პირები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან წესიერების დასარღვევათ, ისვრიან თოფებს და არეულობას ახდენენ. აღდგომის დღეებში ისეთი სროლა იყო, გეგონებოდათ ბრძოლის ველიაო.

## ბრძოლის ველზე

**ბორჯომ-აწყვერი.** ამ ჟამად ბორჯომ-აწყვერი საომარ პუნქტს წარმოადგენს. საზღვრის ერთი მხრით მუსულმანების და მეორეს ჩვენი ჯარები დგანან. მუსულმანთა სოფლებში ენერგიულად მუშაობენ ეგრეთ წოდებული ოსმალთა კომისრები, რომლებიც ყოველ მოხერხებულ დროს აწყობენ თავდასხმას. 10 ამ თვეს მუსულმანთა შეიარაღებულმა ნაწილმა გადმოლახა საზღვარი და დააპირა ჩვენ სოფლებში შესევა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა დროზე გაიგო ეს და გაუწია შესაფერი წინააღმდეგობა. შემოსულს ნაწილს შეუტია და სამი ვერსით უკან დაახევინა და გადარეკა. შეტაკების დროს მუსულმანებს მოუკლეს თუთხმეტი და ჩვენ ერთი. სოფელ საკირეს და მის მახლობელ ბევრი მცხოვრებნი შიშის გამო ბორჯომში ჩამოიხიზნენ. როგორც ფაქტებმა დაგვარწმუნეს, გადაჭარბებულ ლმობიერებას და დაუსრულებელ მოთმენას საქმისათვის მოაქვს დიდი ვნება და არა სარგებლობა. ჩვენის აზრით ისეთი ღირსშესანიშნავი პუნქტები, როგორიცაა აწყური, აბასთუმანი, ასპინძა და სხვა უნდა იქნას აუცილებლათ დაკავებული ჩვენი ჯარებით, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო მუსულმანების ასეთ პარტიზანულ ექსცესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უფრო სერიოზული გამოსვლები.

ნოდე.

## წერა-კითხვის საზოგადოება

საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრება 12 მაისს გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა დ. გ. კარიჭაშვილმა ახალი კლუბის დარბაზში.

დაესწრნენ: საზოგადოების საპატიო წევრი ანასტასია წერეთლისა; გამგეობის წევრნი: გრ. რცხილაძე, თ. კიკვაძე, ნინო ნაკაშიძე, შიო დედაბრიშვილი: ლ. ბოცვაძე და გარდა ზემო დასახელებულ პირებისა 18 რწმუნებული: ა. მამულაიშვილი, ნ. ცინცაძე, ს. იაშვილი, ვ. ბურჯანაძე, ივ. ავალიშვილი, ფილიპე მგელაძე, ნიკიფორე მამინაიშვილი, ნ. მამულაიშვილი, გ. მაჭავარიანი, ხარ. ზაქარეიშვილი, გ. დოფქვიაშვილი, ქ. გვარჯალაძე, ტ. წერეთელი, გ. იმნაიშვილი, დ. ხოშტარია, ე. ჭაატაშვილი, იულია იაშვილი, პ. კახიანი.

დ. კარიჭაშვილი. ბატონებო ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი სალამს უძღვნის დღევანდელ კრებას, პირადათ იგი კრებას ვერ ესწრება, რადგანაც მას უბედურება ეწვია: გარდაეცვალა მეუღლე, რომელსაც ჩვენი საზოგადოების წინაშე სამსახური მიუძღვის. დღევანდელს კრებას კანონიერად ვაცხადებ და გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე.

კრების თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა დ. გ. კარიჭაშვილი, ხოლო მდივნათ ვ. ბურჯანაძე.

დ. კარიჭაშვილი მადლობას უძღვნის კრებას ნდობის გამოცხადებისათვის. ბ-ბო, როგორც კრების გახსნის წინ მოგახსენეთ, გარდაიცვალა ჩვენის საზოგადოების თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის მეუღლე, რომელსაც ერთგვარი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გაძლიერების საქმეში. წინადადებას ვაძლევ კრებას ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას (თავმჯდომარის წინადადებას კრება ერთხმად ღებულობს), ამასთან ცნობად უნდა გაუწყოთ, რომ გამგეობის ნებართვით განსვენებულის ნეშტი დაკრძალულ იქნება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დროებით, შემდეგ ნეშთი წასვენებულ იქნება საშობლო სოფელ სტეფანწმინდაში. გამგეობის დადგენილებით გვირგვინის ნაცვლათ განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავათ გადადებულ იქნა 100 მანეთი სტეფანწმინდაში არსებულ სამეფიქრო სკოლის სასარგებლოთ. კრება გამგეობის დადგენილებას ერთხმათ ღებულობს და ანდობს თავმჯდომარეს კრების სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს განსვენებულის მეუღლეს.

თ. კიკვაძე—მართალია, დღევანდელი კრება კანონიერათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წარმომადგენლები არ გამოუგზავნიათ ბაქოს, ბათუმის, კავკავის, სოხუმის და სხვა მრავალ განყოფილებებს, თფილისის განყოფილების მხრივაც კი 50 კაციდან ნახევარიც არ გამოცხადებულა, დღევანდელი კრებას კანონიერათ აღიარება შეუძლებელია, კრება შემდეგისათვის უნდა გადაიდოს, ხოლო კრების დღის დანიშვნა უფრო მოხერხებულ დროს თვით გამგეობას მიენდოს.

თ. კიკვაძის წინადადებას კრება ერთხმათ ღებულობს.

თავმჯდომარე, მართალია კრება გადაიდო, მაგრამ საჭიროა დღევანდელმა კრებამ, რომელიც წესდების ძალით კანონიერია, ნება დართოს გამგეობას მიმდინარე ხარჯები აწარმოვოს მის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით. თავმჯდომარის წინადადებას კრება ერთხმათ ღებულობს.

## სამწუხარო მოვლენა

უკვე ფაქტათაა აღიარებული ის გარემოება, რომ ჯარისკაცთა ნაწილი ზნეობრივათ გაიხრწნა. მათი წარმომადგენლები ყველაფერი დასაშვებია ფრონტზე ნამყოფ გაჭირვებულ ხალხისათვის: სახელმწიფო ნივთების მოპარვა, მისი გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. სოფლის გლეხიც ადვილათ ურიგდება ამ ქურდობას.

გლეხი მეტათ მარტივათ მსჯელობს: დრო როცა გაქვს, მაშინ თუ ვერ ისარგებლე, ვაჟკაცი არა ხარო,—ეუბნება თავის შვილს, ძმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი წერეთელს

აი, აქ არის მკვეთრი სიტყვა, მძლე, უტყუარი,
აქ არის რწმენა, მტკიცე აზრი, განუტეხელი,
ზენა სიზმრები, ხაზთ სირბილი, ვით ზღვა მღელვარი,
ტალღათ გორების ზედმოსევა განუწყვეტელი.

გუგუნებს ქარი... აქოჩრილ ზღვას გასდევს ხომალდი...
ტალღათ ეძგერვის... კვნესის რკინა და იფერება.
იხევა აზრი, გველეშაპის დროს შენაფარდი,
და მის ნანგრევზე უპოვარი კვლავ იკერება...

ფრინველთ ჟრიამულს შეწონილი ერთვის გრიალი...
ეგ ზარბაზანი თავისებურს სიტყვას განაგრძობს...
ხევი ხმაურობს... მის წიაღში ბევრი ტიალი
მოსთქვამს დაკარგულთ, მოსთქვამს ძმათა, მოსთქვამს თანამგრძნობს!

აქ არის აზრი ხორც-შესხმული, განუტეხელი,
ტალღათ გორების ზედმოსევა განუწყვეტელი.

ვისმენთ გულდასმით... წარსულისკენ გვიწვევს ფიქრები...
უნებლიეთი აზრთ იპყრობენ მოგონებანი:
ჩვენგან წარსულთა მთელი რიგი, ჩვენი გმირები,
დაკარგულ ძმათა სალმობანი და წყლულებანი...

თვალ წინ გვიდგანან... ზღაპრულ ლტოლვას გმირთა ვადარებთ,
რომ ვერ გაექცნენ მუხანათურ მტარვალის მახეს...
ჭირს და ბრძოლაში, განუწყვეტლივ, გულში ვატარებთ
არჩილის ხსოვნას... დაუვიწყარ არჩილის სახეს...

რიგობით ჩვენ წინ იხატვიან დარაზმულები—
კეცხოველები... მაჩაბელი... დაკარგულები.

თან წინ გვიწვევენ გასაგრძობათ ჩვენი საქმისა...
და სიტყვა—გეგმაც დღეს აქ არის სწორედ საჭირო!..
წინ ბრძოლა გველის, ველი გვიდევს ახლის აღთქმისა,
ნგრევა, შენება—და კვლავ ბრძოლა, ბრძოლა საგმირო!

და შენი სიტყვაც ჩვენ მოგვესმა მძლე, უტყუარი,
შენებრ მედგარი, შენებრ მტკიცე, განუტეხელი,
ზე—შთაგონება, ხაზთ სირბილი, ვით ზღვა მღელვარი,
ტალღათ გორების ზედმოსევა განუწყვეტელი!

მოგესალმებით! ჩვენი აზრი მარად თან გდევდა,—
მაშინაც, როს მუხთლათ ჯაჭვს გიჭედდა მტერი უხეში,
როს მომაკვდავი შენს მკვეთრ სიტყვას გმინვით ისმენდა
და გაგზავნიდა ცივ ციმბირში, შავბნელ ციხეში.

აწ, ვით არწივმა, ცა გააპე მძლავრულის ფრთებით,
თავგანწირული მშობელ მხარეს ისევ მოფრინდი...
ზეიმი გვმართებს დღეს თანხმობით და შეერთებით...
ნუ დაგვალონებს შემოპარულ ფიქრების ბინდი...

დე აღსდგეს ხალხი... მტერს ეძგეროს თავდავიწყებით...
ბრძოლის ყიჟინამ მთები შესძრას, დაიგრიალოს...
ჩვენ მოვუწოდებთ ბრძოლათ ჩაგრულთ... მათთან ვიქნებით!
სიტყვა სთქვას თოფმა. ჩვენმა დროშამ კვლავ იფრიალოს!

9 მაისი 1918 წ. ქ. გორი. **იასამანი.**

---

მეზობელს. გლეხს არასოდეს არ უნახავს თავის სახლში: სამი ოთხი წყვილი ჩექმები, რამოდენიმე თეთრეული, თოფიც ჩამოუკიდა შვილმა კედელზე. ესეც საკუთრება გონია და სიხარულით ცას ეწევა. ყველაფერი ეს იმასთან შედარებით, რასაც სოფლათ და ქალაქათ ადგილი აქვს, თითქოს არაფერია. ყველაზე შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელი ის არის, რომ ზოგიერთ ჯარისკაცთ სახელმწიფო თოფებით დაუწყიათ ვაჭრობა. სოფლათ ასეთი პირები იძენენ თოფებს იაფ ფასებში და ქალაქებში ჰყიდიან დიდ ფასებში. აღსანიშნავია ის, რომ უმთავრესათ თურმე სომხებში და თათრებში ასაღებენ თოფებს.

ამ გარემოებას აუცილებლათ უნდა მიექცეს სათანადო მთავრობისაგან შესაფერი ყურადღება. დაუყონებლივ უნდა გამოიცეს განკარგულება და სასტიკად თვალყური ადევნონ მატარებლებში თოფიან ჯარისკაცებს და სხვა პირებსაც მოწმობის ძალით თოფის ტარებას ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ხშირად აცხობენ ყალბ მოწმობებს და გადააქვთ თოფები. ცალკე პირთ თოფების ტარების უფლება არ უნდა ქონდეთ. გარდა ამისა, აუცილებლათ საჭიროა სოფლათ იარაღის აყრა, ამას მოითხოვს რევოლიუციის და სახელმწიფოს ინტერესები, ამას მოითხოვს სოფლის გლეხობაც. თუ ეს არ მოხდა, საკმარისია მცირეოდენი პროვოკაცია, რომ სოფლად ანარქიამ წამოყოს თავი. თუ ჯარისკაცებს თოფები არ ჩამოერთვა სოფლად, უნდა ითქვას გულახდილად, რომ შეუძლებელია, როგორც საადგილმამულო რეფორმების მოხდენა, აგრეთვე მომავალი საერობო არჩევნების დემოკრატიის სასარგებლოდ ჩატარება. **ანსანი.**

## რკინის გზაზე

ამ უკანასკნელ ხანებში იარაღით და სხვა საომარი მასალით ვაჭრობა მთელ ბაქოს ლიანდაგზე ფართო ხასიათს ღებულობს. მცხოვრებნი ყიდიან კამეჩებს, ხარებს, ძროხებს და იარაღს იძენენ.

შეიძლება იფიქროს ვინმემ იარაღს იძენენ ამიერ-კავკასიის ნორჩ რესპუბლიკის საზღვრების დასაცავათო.

იარაღს რომ ამ მიზნით იძენდენ, ამას ჩვენ დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით აღვნიშნავდით, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ იარაღს იძენს გუშინდელი ქურდი, ავაზაკი და ყველა ისინი, რომელთა წარსული შავით და ბნელითაა მოცული, ყველა ისინი, ვინც დეკემბერში დაარბია, დასწვა სადგურები და გაანადგურა მთელი გზა.

ვინ უწყობს ხელს მათ იარაღის შეძენაში? რკინის გზელები. თქვენ აქ შეხვდებით იარაღით მოვაჭრე კონდუქტორსაც, ტელეგრაფისტსაც და სხვა მრავალ დარგის მუშამოსამსახურესაც.

თუ თქვენ ჯიბეში რამოდენიმე ცალი პატრონა გაქვთ, ყველაფერს იშოვით, ფულით კი ვერაფერს.

და იმიტომაცაა, რომ მთელი აქაური ბაზარი იარაღით მოვაჭრე ხალხმა ჩაიგდო ხელში. თფილისიდან მატარებლით ეზიდებიან პატრონებს, თფილისში კი იმავე მატარებლით პატრონებზე გადაცვლილ ცხვრებს, ქათმებს დ სხვა.

მე ვნახე რკინის გზელი, რომელმაც 45 პატრონა სამ ცხვარში გადასცვალა, ხოლო როდესაც მე ვთხოვე პატრონს მეოთხე ცხვარი ჩემთვის ფულზე მოეყიდა, არაფრის გულისთვის არ დასთანხმდა.

ვნახე ასეთი სურათიც: სადგურებ ძეგამს და შამხორს შუა მოულოდნელათ მატარებელი გააჩერეს, ვაგონში სამი შეიარაღებული მუსულმანი შემოვიდა და ვიღაცას ძებნა დაუწყეს. ამხანაგის შეკითხვაზე—ვის ან რას დაეძებენ, ერთმა უპასუხა: „ჩვენ აქ დავეძებთ მათ, ვინც ჩვენ თფილისში დაგვეძებსო“ (იგულისხმება სომხები). მეორემ კი ჩაილაპარაკა: „რაფაელოვს თუ არ ენანება თავის ერის შვილები, ჩვენ რაღაში გვენაღვლება მისგანვე ყიდული პატრონებიო“.

ჩემ შეკითხვაზე—თუ ვინაა ეს რაფაელოვი, არაფერი არ მიპასუხეს და შემდეგ ვაგონში გავიდნენ.

გვერდში მჯდომმა მუსულმანმა მიპასუხა: „რაფაელოვს ყველა იცნობს, ის კონდუქტორია, ცნობილი კონტრაბანდისტია, მეტი თუ არა, ერთ მესამედი ყაჩაღებისა რაფაელოვმა შეაიარაღაო“.

ჩვენ არ ვიცით ვინაა ეს რაფაელოვი, მაგრამ მას რომ აქეთ ყველა იცნობს, ეს ცხადია. როგორც შემდეგი ლაპარაკიდან გამოირკვა, მას თურმე მართლაც დიდძალი პატრონა და იარაღი გაუზიდავს თფილისიდან.

„მართალია, მართალი დიდძალი პატრონები გაყიდა რაფაელოვმა, ღიდძალი ფულიც შეიძინა, მაგრამ... დიდი უბედურებაც დაატეხა თავზე ამით თავის ერის შვილებს, სომხებს“... ჩაერია ლაპარაკში კონდუქტორი.

არამც თუ თავის ერის შვილებს, თავის თავსაც დიდი უბედურება და საფრთხე მოუმზადა რაფაელოვმა, ვიტყვი მე საკმაოა რაფაელოვი გასცდეს სადგურ აგტაგლიას და თამამათ ვიტყვი, რომ როგორც სომეხი, ის არაა უზრუნველყოფილი, რომ მას თავისივე მიერ გაყიდულ ტყვიით არ მოკლავენ.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ სამარცხვინო ხელობას ბევრი ქართველიც ეწევა.

იარაღით მოვაჭრე რკინის გზელებო, გონს მოდით! ნუ არცხვენთ იმ რკინისგზელების სახელს, რომელნიც პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს და რევოლიუციის ხსნის საქმეში. ნუ აიარაღებთ რევოლიუციის მტრებს, ნუ აძლიერებთ ძმათა შორის სისხლის ღვრის მოსურნეთა რაზმებს.

ნუ აგდებთ საფრთხეში თქვენივე სიცოცხლეს, მოიგონეთ დეკემბრის შავი დღეები!

დეე ყველა თქვენთაგანმა იცოდეს, რომ დღეს ფარული გზით იარაღს იძენენ მხოლოდ რევოლიუციის მტრები, ავაზაკები და სხვა ქვენა აზრებით გამსჭვალული შავ ბნელი პირები. **ქ. მწვანეყვავილელი.**

## სად.-მამულო რეფორმა

**ს. ქვემო ჭალა** (გორის მაზრა). 2? მარტს გავემგზავრეთ სამიწად-მოქმედო სამინისტროს დავალებით ქ. გორში მიწების რეფორმის გასატარებლად კანონის ფარგლებში. შევკრიბეთ სამიწადმოქმედო კომიტეტის წევრები და გავაცანით ჩვენი მოსვლის მიზანი. სამაზრო სამიწადმოქმედო კომიტეტის თავმჯდომარის და მდივნის საშვალებით ორი სამი კრება გავმართეთ; როგორ და რა რიგათ გაგვენაწილებია ჩვენი მუშაობა. (ამ დროს გორის მაზრაში არა ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო ცხინვალის სამწუხარო ამბების გამო). ჩვენ მაინც გავინაწილეთ სხვადასხვა რაიონები უკანასკნელ მესამე კრებაზე. თანაც მაზრის კომიტეტს და მდივანს დაევალა ყოველივე მასალების დაგროვება და ჩამომრთმევ კომისიის დაჩქარებით შედგენა. შემდეგ მე და ჩემი ამხ. ი. ბალანჩივაძე გავემგზავრეთ ქვემო ჭალის რაიონში. ჭალის რაიონი იწყება სადგური კასპიდან. ჭალის საზოგადოება კი ხუთმეტი ვერსტის მანძილზეა აქედან. ეს რაიონი შესდგება 28 სოფლიდან, თვითონ ჭალა ითვლება ცენტრად, რომელსაც ყავს სარაიონო კომისარი. პირველ ჩამოსვლისათანავე შევკრიბეთ ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, საზოგადოებასთან ერთად გადავეცით კრებას ჩვენი მოსვლის მიზანი, გავაცანით მიწის რეფორმის კანონები მუხლობლივ, რამაც ხალხში კმაყოფილება გამოიწვია და აღგვითქვეს დახმარება. ამავე კრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ სასოფლო მიწის ორგანიზაციები ძრიელ სუსტია, თითქმის არც არსებობსო. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ მთელი რაიონის საზოგადოებები დაგვევლო და აღგვედგინა ახალი ორგანიზაციები, როგორც მიწის, ისე სასურსათო და სხვა. ამასთანავე პირველი ჩვენი მოწოდება იყო მიმართული მომენტის გაცნობა და მობილიზაციის გატარება, აქ მობილიზაცია კარგათ ჩატარდა, (თუმცა თითო ოროლა მობალშევიკე სალდათები ერივნენ). აქ ამ რაიონში მომხდარა შვიდი-რვა მკვლელობა, მიზეზი გამოურკვეველია, შეიძლება მიეწეროს აგრარულ მოძრაობას, რაც იქიდან სჩანს, რომ მემამულეებსა და გლეხებს შორის ცუდი განწყობილება ყოფილა—თითქმის ძველი ბატონყმური. აგრეთვე არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერორს კერძო ყაჩაღური, პროვოკაციული ხასიათი არ ჰქონდეს. ამის შესახებ ჩვენ ვუხსნიდით ხალხს ყოველ კრებაზე, რომ ასეთი მოვლენა არ განმეორებულიყო შემდეგში.

ამ რაიონში მემამულეებათ ითვლებიან ორბელიანები, ამილახვრები, მეახიშვილები, ზაალიშვილები და სხვა. არიან ზოგი მათგანი მცირე ადგილების პატრონები, რომლებიც თავიანთი შრომით ეწევიან გლეხებთან ერთად ოჯახურ მუშაობას, გლეხებთანაც მეზობლურ განწყობილებაში არიან. ეს რაიონი დასახლებულია უმრავლესობა ქართველობით, შემდეგ სომხობა, ოსობა, ებრაელები და მცირე ნაწილი თათრობა. მათ შორის განხეთქილება არ არსებობს. მართალია, ზოგ გლეხებს შორის არის უბრალო კინკლაობა ძველი ნასყიდობების გაუქმება და სხვა ასეთი უთანხმოებანი.

როცა ყველა სოფლები ჩამოვიარეთ, შემდეგ 15 აპრილს მოვიწვიეთ ყველა სოფლის სარაიონო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძოთ სამიწადმოქმედო კომიტეტების წევრები 60 კაცამდე. ამ ყრილობას დაესწრო ადგილობრივი მცხოვრები ორას სამას კაცამდე. დაგვესწრო გორიდან ჩამოსულები ამხ. შ. ჯ—შვილი და ირ. ბოლქვაძე. კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული ამხ. ჯავახიშვილი. ჯავახიშვილმა კრებას გააცნო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და ღღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმა, რაიც ყურადღებით იქნა მოსმენილი.

მოხდა სამიწათმოქმედო სარაიონო და სასურსათო სარაიონო ცენტრის არჩევნები.

სამიწათმოქმედო კომიტეტი იქნა არჩეული შვიდი კაცისაგან. ამ კომიტეტმა აირჩია მუდმივ თავმჯდომარეთ მ. გეგიძე და კანდიდატათ შაქრო ოქროპირიძე, მდივნათ სანდრო ფრუიძე. ამის შემდეგ აირჩიეს სასურსათო კომიტეტის ცენტრის წევრები შვიდი კაცისაგან. რომლებსაც დაევალა ჯარში გაწვეულების ოჯახების და ღარიბი ოჯახების დახმარება. ამავე საერთო კრებაზე იქნა არჩეული კომისიის ერთი წევრი, რომელიც შევა ჩამომრთმევ კომისიაში.

მთელი ეს რაიონი დათესილ-გადახნულია: არც ერთი ნაჭერი მიწა თავისუფალი თუ მემამულის დაუთესავი არ დაუტოვებიათ. არც ერთი ვენახი და ბაღი არ არის დაუმუშავებელი, რომელიც დიდ მოსავალს უქადის მოსავლისათვის. ჭირნახულსაც კარგი პირი უჩანს. ვენახი და ხილეულობა ამ რაიონში დიდ ძალია. ყველა დიდ საზოგადოებაში კოოპერატიული დუქნებია. რაც შეეხება სწავლა-განათლების მხრით ჩამორჩენილია, თუმცა ზოგ საზოგადოებაში სკოლები აქვთ, მაგრამ სწავლის საქმე ძლიერ ცუდ პირობებში აქვთ დაყენებული. მოსწავლეთა მშობლები ძლიერ გულგრილათ უყურებენ მოზარდი თაობის აღზრდას, მაგრამ აგრეთვე შეიძლება ითქვას მასწავლებლების მხრითაც, რომ მათი ამ სოფლათ მოღვაწეობა უბრალო ძველ ჩინოვნიკურ სამსახურით განისაზღვრება მეტით არაფრით. არ არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ჟურნალ-გაზეთობას ძლიერ ნაკლებ ეტანებიან. არც ფოსტა აქვთ მოწყობილი, რომ სადგურიდან კორესპონდენციები მიიღონ. თითონ ამ რაიონის მცხოვრებლები უმეტესი ნაწილი შეძლებულებია და შეიძლება, თუ მასწავლებლები და შეგნებული პირები თავს იდებენ ხალხის სამსახურს, გლეხკაცებიც შესძლებენ ასეთი ხარჯების გაღებას. მე, რამდენადაც მიხდებოდა მათთან ლაპარაკი, ისინი მზათ არიან ხელი შეუწყონ ყველა ასეთ დაწესებულებას, მხოლოდ ერთგული მოთავეები არა გვყავანო. ღვინის ზედმეტ სმას დიდი უსიამოვნება და ხშირათ სამწუხარო ამბები თან ჰყვება. ამას წინათ ს. ოკამში დამთვრალიყვნენ რამოდენიმე პირნი: ერთ მათგანს სიმთვრალის გამო თოფი გავარდნოდა და ერთი იქვე მოკვდა და ორიც სასიკვდილოთ დაიჭრა. ხშირათ გაისმის სროლის ხმა, რაც მშვიდობიან მცხოვრებთ თავზარს სცემს. ამას სჩადიან ზოგიერთი ჯარისკაცები და ზოგი თვით წესიერების დამცველებიც კი.

მილიციამ თუ გვარდიელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას და ვინც უბრალოთ თოფს გაისვრის ან რაიმე უწესოებას მოახდენს, აჰყარონ იარაღი და დასაჯონ, რათა მშვიდობიან მცხოვრებთ გულდამშვიდებით შეეძლოთ ცხოვრება. **№ 40.**

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 8 მაისს შესდგა პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. დღიურ წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: მდივნის დაქირავება, პარტიის ორგანიზაციული მუშაობა, ბიბლიოთეკის გახსნა, სახალხო უნივერსიტეტი და სხვ. პრეზიდიუმის მიერ მიღებული დროებით კოლექტივმა დაამტკიცა.

კრებამ სცნო საჭიროთ მოეწყოს წიგნთსაცავ-სამკითხველოით. ყველა ადგილობრივ პერიოდულ გამოცემების თითო ეგზემპლიარი გამოიწეროს სამკითხველოსთვის. აღდგენილ იქნეს მახლობელ დროში სახალხო უნივერსიტეტის მოქმედება. ამხ. ქუთათელაძემ კრებას წარუდგინა შემუშავებული პროგრამა ლექციების. ლექციებს წაიკითხავენ ნაძალადევის თეატრში შემდეგ თემებზე: რევოლიუციის ისტორია, სოციალიზმის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია. კრებამ მიანდო ამხ. ქუთათელაძეს გასწიოს მუშებში სიტყვიერათ და პრესის საშვალებით ფართე აგიტაცია, რომ მუშები ბლომათ ჩაეწერონ მუდმივ მსმენელებათ ლექციებზე.

ბილანოვის გიმნაზიის შესახებ კრებამ მიიღო ამხ. ბახტაძის წინადადება და მასვე მიენდო—იშუამდგომლოს ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ შემოღებულ იქნას საყოველთაო განათლება ნაძალადევის და დიდუბის რაიონებში, აგრეთვე იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მან მიიღოს თავის ხარჯზე ბილანოვის გიმნაზიის შენახვა. კრებამ აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის ორგანიზაციული მუშაობა ძლიერ კოჭლობს. ამხ. ნინუა ამბობს, რომ ზოგიერთი პირები მთავრობის მიერ დანიშნულ აგენტებისა—ჩვენი პარტიის წევრები—საპასუხისმგებლო პოსტზე—დანიშნულ სიმაღლეზე არა სდგანან და თავის მოქმედებით პარტიის პრესტიჟს სცემენ ხალხის თვალში. ამხ. გნოევოი—დაცვის შტაბის უფროსი, გადაყენებულ იქნა და მუშებმა კი არ იციან გადაყენების მიზეზი! კრებამ ამ კითხვის შესახებ გადაწყვიტა—მიმართოს საბჭოს და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ დროგამოშვებით წაიკითხონ მუშების კრებაზე მოხსენებები მთავრობის მოქმედებების შესახებ. რაც შეეხება ღვინის გაყიდვის აღკრძალვას, კრებამ აღნიშნა, რომ რეპრესიულმა ზომამ სასურველი შედეგები არ მოგვცა, პირიქით, ღვინის სპეკულიაცია ფართე ხასიათს ღებულობს, ღვინო საიდუმლოთ იყიდება—ლოთობა ხშირ მოვლენათ გადაიქცა. ეს კითხვა საბოლოოთ გამოსარკვევათ დ გადასაწყვეტათ გადატანილ იქნა რაიონულ კრებაზე. რაც შეეხება სახალხო მატარებლებში უწესრიგოებას, როგორიც არის უბილეთოების წაყვანა და კარტის თამაში, კრებამ მიანდო ამხ. გნოევოის იშუამდგომლოს რკინის გზის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის წინაშე, რომ მიღებულ იქნას შესაფერი ზომები აღნიშნულ ბოროტებას აღმოსაფხვრელათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშებმა თავს იდვან სახალხო მატარებლებში წესრიგის აღდგენა.

**მდივანი ფოფხაძე.**

## მუშათა შორის

**თფილისის ტრამვაი.** 11 მაისს, დღის 12 საათზე მცირე კოლექტივის დ მ. პ. ინიციატორობით მოწვეულ იქნა საერთო კრება აღნიშნულ დაწესებულებას სახელოსნოს მუშებისა. კრებას დაესწრო დაახლოებით 300 კაცამდე. დღიურ წესრიგში დასმული იყო მიმდინარე მომენტი. მოხსენება გააკეთა ამხ. ჯერმაზონმა ყოფილი წევრია მუშათა საბჭოსი ქ. პეტროგრადისა). ის ვრცლათ შეეხო იმ კითხვებს, რაც ჩვენს მუშებს, განურჩევლათ რწმენისა და ეროვნებისა, გვაინტერესებს, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ყოფნა-არ ყოფნა.

რევოლიუციის პირველ დღეებიდან, როცა ყველა ერთი აზრით იყო აღფრთოვანებული, ყველა მოელოდა რევოლიუციით ხსნას—უპირველესათ ომის გათავებას, მაგრამ არ მოხდა ისე, როგორც ჩვენი სურვილი იყო, და ამან გამოიწვია ის ცვლილება და არევდარევა, რასაც დღეს რუსეთის დემოკრატია განიცდის. ასე დაიწყო თავისი მოხსენება ამხანაგმა და შემდეგ განაგრძო—არაფერი არ კეთდება სურვილით, მით არ შეიძლებოდა ომის გათავება. ჩვენი ამხანაგები ჩხეიძე, წერეთელი და სხვები მოუწოდებდენ რუსეთის დემოკრატიას და რევოლიუციონურ ჯარს გამაგრებულიყვნენ ფრონტზე, რომლითაც მივაღწევთ დემოკრატიულ ზ ვსო. თუ გვინდა ზავი, ბრძოლისთვის უნდა ვიყოთ მზათო. აგრეთვე მიუთითებდენ საშუალებებზე, როგორც საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია და სხვა, მაგრამ გამოჩნდენ ვითომ უფრო ჭკვიანი ხალხი, გამოცდილი „აკუშორები“, რომლებმაც ყველაფერი მისცეს მუშა კლასს სიტყვით, საქმით დღეს ბრმაც ხედავს რა მოგვცეს ამ უტოპისტებმა. მთელი რუსეთი და ამიერ-კავკასია გერმანიის და ოსმალეთის იმპერიალისტების საძიძგნათ გადააქციეს, გარეშე მტერთან სამარცხვინო ზავი შეკრეს, გააჩაღეს სამოქალაქო ომი, ერთი ფრონტის მაგივრათ რამოდენიმე ფრონტი შეჰქმნეს, ვითომც ბურჟუაზიის წინააღმდეგ. შედეგი? დემოკრატია გაიყო ორ ბანაკათ, ერთმანეთი ამოჟლიტა და გაანადგურა. ბურჟუაზიას არაფერი არ დაუკარგავს ამ სამოქალაქო ომში, მაგალითად, ბაქოში ერთი მდიდარი მოჰკლეს და ათასობით ამბალები (ქურთების მუშაა). დღეს რუსეთში გამორკვეულ მუშებს იატაკქვეშ უხდებათ მუშაობა და გაგონდება რომანოვ-რასპუტინის დრო. დასასრულ ამხანაგმა მოუწოდა კრებას თუ გვინდა ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, თუ გვინდა ზავი, თუ გვინდა ჩვენი დაზგები მუშაობდეს, თუ გვინდა ჩვენი ქვანახშირი და ნავთი ჩვენვე მოვიხმაროთ და არ ჩაუვარდეს ხელში გარეშე და შინაურ მტრებს, საჭიროა ბრძოლა იარაღით ხელში, მუშათა კლასის და ყველა სოც მოაზროვნე დემოკრატიის მოვალეობაა ასე მოიქცეს. მაშ ჩაეწერეთ წითელ გვარდიაში და ჯარში. გაამაგრეთ პოზიციები. გაუმარჯოს წითელ გვარდიას და ჯარს, რომლებიც იცავენ თავისუფლებას და ჩვენ ფიზიკურ არსებობას. ეს სიტყვები კრებამ ტაშით დააჯილდოვა. კრება კმაყოფილი დაიშალა. ასეთი კრებები საჭიროა საერთოდ მუშებში, რადგანაც ბევრ ბოროტებას და დემაგოგიას აქვს გასავალი. მოწინავე ამხანაგების მოვალეობაა მოიწვიონ კრებები როგორც პარტიული, აგრეთვე მას იურიც. მუშათა კლასის უმთავრესი მტერი არის სიბნელე, განვითარების არ ქონა.

მაშ, განვითარებისაკენ!

**ს. თ—ძე.**

## პროვინცია

**ქ. სიღნაღი.** წელს პირველი მაისობა სიღნაღის მშრომელმა ხალხმა ვერ იდღესასწაულა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ბნელმა ძალებმა, საზოგადოების ნაძირალ-პროვოკატორებმა ამ ბოლო დროს როგორც სიღნაღში, ისე მაზრაშიც ახდილად იწყეს გამოსვლა, მოუწოდებდენ არეულობის მოსახდენად ნამდვილი მებრძოლების, რევოლიუციონერების დასაჭერად და გასასამართლებლად.

რომ არ ვიდღესასწაულეთ ეს დღე პირველი მაისობა, ამას არ დაივიწყებს ისტორია, არ დაივიწყებს თვით ქ. სიღნაღის და მთელი მაზრის რევოლიუციონური დემოკრატია, ის დემოკრატია, რომელიც მზად არის და მზად იყო იარაღით აელაგმა ბნელი ძალების გამოსვლა და თუ პირველ მაისობას ასეთი გამოსვლა მოხდებოდა, მისთვისაც ღირსეული პასუხი გაეცა, მაგრამ თუ ამ დღესასწაულზე მშრომელმა ხალხმა უარი სთქვა, ეს იმისთვის, რომ მოსალოდნელი სისხლის ღვრა თავიდან აეცილებინა.

მერე ვინ არიან ეს ხულიგნები, ეს ბნელი ძალები, რომლებიც ბედავენ ასეთ თავხედობას, ბრბოების ხელმძღვანელობას თავისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად?!

ესენი არიან ძველი რეჟიმის აგენტები, ესენი არიან ბოქაულად—მოხელეებად ნამყოფნი, ესენი არიან ის პირნი, რომლებიც ნიკოლოზის დროს ხალხს წურბელებივით ასხდენ კისერზედ და ნიკოლოზის ხიშტებით თავის კეთილდღეობას აშენებდენ მშრომელთ გლეხკაცობის უბედურებაზედ.

ესენი არიან ის პირნი, რომლებიც პირველ დღეებიდან რუსეთის დიდი რევოლიუციისა გაჰქრენ, მიიმალენ ჯურღმულებში, რადგანაც მათ ეშინოდათ რევოლიუციონური ხალხის მსჯავრისა, მათი გასამართლებისა.

დღეს კი, რა [illegible] მათ, რომ რევოლიუციონური მთავრობა [illegible] ნამშვილია, ის [illegible] ფრონტზე [illegible] [illegible] გარეულ [illegible] და [illegible] ამ [illegible] არ [illegible] ბნელი ძალების ასალაგმავად, ეს პროვოკატორები გამოძვრენ

ხოროებიდან, სცადეს ამღვრეულ წყალში თევზების ჭერა და მოევლინენ ხალხს „კეთილ სინდისიერ პირებად". მოუწოდებენ ხალხს, იკრებენ თავის გარშემო შეუგნებელ ბრბოებს და ამზადებენ ნიადაგს რევოლიუციის დასამარცხებლად და საფლავში ჩასვენებულ ძველი წეს-წყობილების აღსადგენად.

ვიცით კარგათ მათი გვარებიც, მათი ვინაობა, მათი წარსული, აწმყო და მომავალში მათი შავი და ჭუჭყიანი სულის კვეთება და თუ ამას არ ვამხელთ ამ ჟამად, ეს იმას ნიშნავს, რომ ველით დროს, როდესაც უნდა დადგეს მათი განკითხვის დღე, როდესაც მათ მიეცემათ ღირსეული პასუხი მათ ბნელ, ხულიგანურ მოქმედებისათვის.

საქმე იმაშია, რომ ეს ნაძირალები, პროვოკატორები ერთეულნი აღარ არიან, მათ მისდევენ ბრბოები და ბანს აძლევენ ზოგიერთა წევრები ეგრეთ წოდებულ „რევოლიუციონურ" „დემოკრატიულ" ორგანიზაციებისა.

ეს პირები აშკარათ მოქმედებენ და იმ ორგანიზაციის მიერ, რომლის კუთვნილებასაც ისინი შეადგენენ, არაფერი ზომები არ არის მიღებული მათ დასასჯელათ და ასალაგმავათ. რას ნიშნავს ასეთი სიჩუმე ორგანიზაციისა, როდესაც მისი წევრი აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას აწარმოებს, იქნებ თანხმობას და მისი მოქმედების დადასტურებას!..

ცხადია ასეთი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება რომელიმე ორგანიზაციის წევრებისა, ორგანიზაციის დადასტურებით საპასუხოა და რევოლიუციონური დემოკრატია არ დასტოვებს იმ, რომ არ მოსთხოვოს მათ ღირსეული პასუხი თავის დროს და ადგილას.

პირველი მაისი ავღნიშნეთ ჩვენ სამაზრო პარტიის წევრთა საერთო ყრილობით, რომელზედაც ერთხმათ სხვა რეზოლიუციებთან ერთათ გამოტანილი იქნა შემდეგი დადგენილება: „რევოლიუციონური ძალების მთელ მაზრაში შეკავშირება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მთელს მაზრაში პროვოკატორებს, ბნელ ძალებს, ნაძირალებს და ყოველივე იმ პირთ, რომელთაც გაუყიდნიათ ხალხი, სინდისი, პატიოსნება, მოქმედებენ რევოლიუციონურ დემოკრატიის დასამარცხებლათ და უთხრიან სამარეს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას! . ი.

———

**ჭვაბზუ** (გურია). მე..... ქართული პოლკის პირველი ბათალიონი სდგას ნ—ს რაიონში, ამავე ბათალიონის მეოთხე როტა იმყოფება ჩვენს სოფელში. ამ როტას შეადგენს ყველა ლანჩხუთის საზოგადოების მოხალისეთა ლაშქარი. ამ ლაშქარს მიზნათ აქვს დასახული გარეშე მტრის მოგერიება და წესიერების დამყარება. სასტიკათ გმობს ყველა ჩვენგანი ყოველგვარ უწესოებას; მიუხედავათ ამისა, ადგილობრივ მცხოვრებთაგან გაისმა საყვედურები ჯარისკაცებმა აგვაწიოკესო, მოდიან და იტაცებენ, რაც რამ კი გვაბადიაო, ამის გაგონებაზე ყველა ჩვენგანი სწუხდა და ერთი მეორეს აფრთხილებდა ეგეთი უსინდისობა არ ჩაედინათ, ერთი მეორეს მოაგონებდნენ, რომ ისინი სადღაც მტრის ოჯახებში არ არიან, არამედ—თავის ამხანაგების, რომლებიც ჩვენთან ერთად მტრის წინააღმდეგ იბრძვიან.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებშიაც ურევია საეჭვო პირები, რომლებიც სარგებლობენ დროთი და ძარცვავენ უპატრონოთ დარჩენილ ოჯახებს და ასეთი მოქმედებით ჩირქს სცხებენ სხვა ამხანაგებს. აღდგომა დღეს საათის თორმეტზე ჩასულან ჭვაბზუს მცხოვრებ ივანე ხანთაძის ეზოში ი. ცინცაძე, გ. ებრალიძე და ს. კვირკველია და თოფი გაუსვრიათ. თოფის ხმაზე მოხუცი ხანთაძე გარეთ გამოსულა. მოხუცის დანახვაზე კიდევ გაუსვრიათ თოფი და ლანძღვით მიუმართავთ: სად არის შენი შვილი, რატომ ჩვენთან არ არისო? შემდეგ ჩაუკეტიათ ოთახში და უცემიათ 70 წლის მოხუცისათვის, რასაც ამტკიცებდა მოხუცის გასისხლიანებული ცხვირ-პირი და დაშავებული მკლავი. მერე ჩაკეტილი დაუტოვებიათ ოთახში, მაგრამ როცა თავდამსხმელნი ოთახს გაცილდენ საწყალი მოხუცი, როგორც იყო, გამოსულა ოთახიდან და თვალებ-აცრემლებული მოვარდა ჩვენ როტის კამანდირთან: მიშველეთ, სამი ჯარისკაცი მომიხტა სახლში და მცემესო. ერთმა მათგანმა გადამარჩინა, თორემ მკლავდენო. ამ დროს ეს გმირებიც გამოჩნდენ. ერთ მათგანს ამაყათ ეჭირა ხელში ფრანგული ვინტოვკა თითქოს თათრისთვის წაურთმევიაო და როტნი კამანდირს მიართვა, და გადასცა იქვე მდგომ მოხუცს. ეს აქ მოვიდა, მოჰკალით ეს ძაღლიო' აი ეს თოფი ქონდა დამალული სახლშიო და ამხანაგებს რომ არ დაეჭირა, იქვე ჰკლავდა მოხუცს.

კამანდერი ეკითხება მოხუცს: ეს თოფი რათ გქონდა დამალულიო? მოხუცმა უპასუხა: ბატონო დამალული კი არა, წუხელი თათრები რომ დაგვესხა მეც თქვენთან იქ ვიყავი „აკოპშიო" და აი სწორედ ამ თოფს ვისროდიო. იქვე მდგომი ჯარისკაცი ემოწმა, რომ წუხელ სროლა რომ ატეხა მტერმა, მოხუცი ჩემთან იყო „აკოპშიაო". და როცა სროლა შეწყდა მოხუცმა სთქვა: გაჭირვების დროს მეც ვარგებულვარ თურმე. კამანდერი ეკითხება მოხუცს: სხვა ხომ არაფერი წაურთმევიათო? ერთი „ცენტრალკა და ეს თოფი წამართვესო", სთქვა მოხუცმა. ზემოხსენებულმა პირებმა „ცენტრალკის" წაღება იუარეს, აშკარაა, ის მიითვისეს, რის დამამტკიცებელი ფაქტებიც ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ამაზე ისინი აგებენ პასუხს. უკვე შესაფერისი ოქმიც დაიწერა და წარედგინა სადაც ჯერ არს. მერე როგორც აღმოჩნდა, ასეთი სასაძაგლო ბევრი ჩუქდენიათ და როგორც ხმებია, ამ ვაჟბატონებს კიდევ ჰყავთ მხარის დამჭერნი. ვაძლევთ წინადადებას დაუბრუნდენ პატიოსან გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ ზომებს მივიღებთ.

მეოთხე როტის ჯარისკაცი.

———

**ხიდისთავი** (გურია). აქ შესდგა ქალთა საზოგადოება, რომლის მიზანია დახმარება გაუწიონ დაჭრილ მეომრებს. ამ საზოგადოებამ ხიდისთავში დაარსა ბიურო, რომელსაც დაევალა ხელმძღვანელობა. ბიუროს მუშაობა კარგათ მიდის. დაარსეს ამ რაიონის სხვადასხვა კუთხეებში 11 მდე განყოფილება. განყოფილებები დავალების თანახმად ჰკრებენ სოფლებში მეომართათვის დასახმარებლად სხვა და სხვა საჭირო ნივთებს და ფულს და აბარებენ ხიდისთავშივე ბიუროს პრეზიდიუმს. ბიურომ გააკეთებინა დაჭრილების გადასაყვანი საკაცეები, ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლის შენობაში მოაწყვეს დაჭრილთა მოსათავსებლად ლოგინები. მართავენ მცოდნე პირთა ხელმძღვანელობით ლექციებს, სადაც ასწავლიან ავადმყოფების მოვლას. დღემდის მოწყალების დებად ჩაეწერა 40-მდე ქალი.

28 აპრილს ს. ბახვის რაიონში დაატყვევეს ძველად ცნობილი ყაჩაღი, ეხლა კი ოსმალეთის ჯაშუში ალექსანდრე დათუნაშვილი. ექვს მაისს, როცა ის ჩოხატაურის სატუსაღოში მიყავდათ ჯვარცხმაში გზიდან გაიქცა, რის შემდეგ იქვე მოკლულ იქნა.

18 აპრილს ს. ქვენობანში დაასაფლავეს ჩვენს რაიონში კარგათ ცნობილი, თფილისის „წითელი გვარდიის" წევრი ამხანაგი ბაქო სიმონის ძე ნათითაიშვილი, რომელიც 4 აპრილს სადგურ ქობულეთთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა ოსმალების მიერ. დასაფლავებას აურაცხელი ხალხი დაესწრო, წარმოითქვა სიტყვები... „რადიკალი".

———

**ჭიათურა**. 2 მაისს ეწვია რაზმი ჭიათურის რაიონში კაცხის საზოგადოებას იარაღის ჩამოსართმევათ; ამ საზოგადოების ჯარისკაცები თავიდანვე ანარქიის გზაზე შედგენ; ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი მთავრობის ყოველივე ნაბიჯებს და თავდაცვასაც, როგორც ლაშქარში წასვლით, ისე შინაურ წეს-რიგის დაცვაში და უკმაყოფილების ნიშნათ, ხშირათ იარაღითაც დემონსტრატიულათ გამოდიოდენ. რამდენჯერმე მოთხოვა მათ ჭიათურის მუშათა საბჭომ და სამაზრო ადმინისტრაციამ ასეთი უმგვანო საქციელზე ხელის აღება და იარაღის უკანვე დაბრუნება, მაგრამ სამაგიეროთ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით იმუქრებოდენ, რამდენიმე პირის ჩაგონებითა და ზეგავლენით. ამან გამოიწვია გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმა საგუბერნიო მთავრობისაგან, რაიც სისრულეში იქნა მოყვანილი ორი დღის აქ რაზმის დგომით და ენერგიული მოქმედებით.—სოფლებში ძალით იარაღების შემოტანამ, უკვე საკმაოთ გამოიღო ბოროტი ნაყოფი: ყველგან უწესოებაზე წუწუნებენ; ხდება აქა იქ გამოურკვეველი მსხვერპლებიც, არ იცის კაცმა საიდან მოდის ტყვია, არც თუ თოფის ხმა ისმის, მაგრამ სადღაც შორიდან გამოსროლილი ტყვიას კი ეწირება. იყო ასეთი შემთხვევები და ჟარესიც. ალაგ-ალაგ ყაჩაღობამაც იჩინა თავი: ამ დღეებში 15-მდე შეიარაღებული კაცი დასცემია ს. ჩიხორში მც. ორ მოსახლეს და გაუძარცვავთ ისინი და სხ. ზემო იმერეთის მცხოვრებნი თითქმის თავს არწევენ შავი ბურუსიდან და თანდათან შორდებიან ავანტიურისტთა ზედ გავლენას. მიწის საკითხში თუმცა საკმაოთ ვერ დაკმაყოფილდენ მისი მონატრული გლეხობა, მაგრამ გლეხობას აშკარათ სწამს, რომ მიწა საკმაო იყოს აქეთ, ის სამართალიანათაც იქნება განაწილებული, რადგანაც მცირეც ამის მაგალითს იძლევა.

ბათუმ ბაქოს ამბებმა, ხალხი გამოარკვია; იმათ ეუბნებოდენ: ბათუმი არავის არ მიაქვს გატყუებენო, მაგრამ როცა სინამდვილე გაიგეს, ბათუმის გარეშე მტრისაგან აღებით და ბაქო-სოხუმის შინაურებისაგან განადგურებით, ტყვილების მოლაპარაკეთ ალმაცერათ დაუწყეს ყურება, ხოლო მათი აგიტაცია ძალმომრეობითია და შიში და შიშობაში აღზრდილი ჩვენი ხალხი თვითმოქმედებას ვერ იჩენს.

ალი-ხანი.

## თეატრი და ხელოვნება

ქართველ მსახიობთა კავშირმა გადასწყვიტა მიმდინარე წლის ივნისში (ახალის სტილით) იდღესასწაულოს ოცდა ათი წლის თავი სასცენო მოღვაწეობისა თვალსაჩინო ამხანაგის და წევრის ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძისა. მართალია, დრო ეხლა მეტათ რთული და მწვავე გვიდგას, კერძო პიროვნებათათვის ისე აღარა გვცალია, მაგრამ მოქარნახულის ამაგის დავიწყება არას დროს არ გვმართებს, მით უფრო, ისეთი ჩუმი და მორიდებული მოღვაწისა, როგორიც საყვარელი ვიქტორია. საკმაოა გავიხსენოთ მას მიერ სცენაზე საუცხოვოთ განსახიერებული თუნდა მხოლოდ ორი ქართველი ტიპი—სვიმონ ლეონიძე და ანანია, რომ ჩვენი გული მისდამი მადლობით აღივსოს იმ ჭეშმარიტ, აღმაფრთოვანებელ წუთებისათვის, რომლებიც მას განუცდევინებია ქართველ საზოგადოებისათვის, და ჩვენ იმედი გვაქვს ეს საზოგადოება შეძლებისა და გვარათ გამოეხმაურება ჩვენს გამოძახილს. ამისათვის გთხოვთ 25 მაისამდე ახალის სტილით, შეგვატყობინოთ თუ როგორ და რა სახით მიიღებთ მონაწილეობას საყვარელ და დამსახურებულ მსახიობის მადლობის გადახდაში. თვით დღესასწაულის დღე, დრო და ალაგი თავის დროზე გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ყოველი შემოწირულება და წერილები მიიღება შემდეგს მისამართით: თფილისი, ქართული ქარვასლა, სასახლის ქუჩაზე, ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის კანტორაში ზალვა დადიანს.

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამით ვაცხადებ ჩემდამი რწმუნებულ შემოქმედის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ლტოლვილ მასწავლებლების საყურადღებოთ, რომ ოზურგეთის ხაზინიდან ფოთში, მივიღე ოთხი თვის ამა წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე, 3 მარტის კანონის თანახმად, მათი კუთვნილი დამატებითი ჯამაგირები და, ვინაიდან არც ერთი მათგანის მისამართი არ ვიცი,—ვსთხოვ ამხანაგებს თუ შესაძლებლათ დაინახავენ, მომაკითხონ თფილისში, რკინის გზის სადგურის ახლოს, ტრამვაის კანტორაში დომენტი თალაკვაძესთან და მიიღონ ხვედრი ფულები.

შემოქმედის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის გამგე **ხოხო მელიქიშვილი.**

## ფონდი

გიგზავნით 50 მანეთს ბრძოლის ველზე გმირულად დახოცილის ჩემი ძვირფასი ძმისწულების: ამბროსი, ერმი და ვანო რამიშვილების ხსოვნის აღსანიშნავად და გთხოვთ გაუნაწილოთ თანასწორად „ერთობის" და „ეშმაკის მათრახის" ფონდის გასაძლიერებლად.

**ირაკლი ივანეს ძე რამიშვილი.**

თეოფანე ქანთარიასაგან მივიღეთ 20 მანეთი. 10 მან. „ერთობის", 10 მანეთიც „ეშმაკის მათრახის" სასარგებლოთ.

## ცნობები

ოზურგეთთან ბრძოლის დროს დაიკარგა მოხალისე მელიტონ მგელაძე. მის შესახებ მშობლებმა ეხლა არაფერი არ იციან. თუ ვინმემ რამე იცის, გთხოვთ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით; თფილისი საბალისნო სკოლა, ფილიპე მგელაძეს, ან ბახვში—ამბაკო მგელაძეს.

---

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

## სამკურნალო

**ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის**

საავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით.

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება სალ. 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილის 10—12 საათამდე. (24—23)

---

ექიმი

## ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14. (24—1)

---

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე ვერანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიევსკის ქუჩა, № 19

---

## ექიმი ვ. მ. მუხაძე

იღებს სტომატოლოგიური ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ლეიბ-გრენადერთა ეკლესიის ახლოს. ტელ. № 5—37

---

**საკურნალო კაბინეტი**

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

---

**დ. საჩხერეში ექიმის თანაშემწე**

## ვ. ზ. ლაშხი

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უვრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათამაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

**იქვე ექიმის თანაშემწე ქალი**

## მ. პ. გაგარინა-ლაშხი

ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

## ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასტირიძის ბინა.

---

ექიმი

## გ. ღონხინი

ყოფილ იახსინენტი პარიზის მთავარ კლინიკაში იღებს

**თვალის ავადმყოფებს**

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მიქაითოვის ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

ექიმი

## ვ. ვ. ბლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—46. ვაჟთლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

---

## ექიმი პ. ი. მაჭავარიანი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ოფიცერთა ქუჩა, № 4, სასტუმრო „ვიტ[illegible]" გვერდით. ტელ. 15—00

---

## ექიმი დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები, სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა კიროჩ. ქ. № 6 (ლოტკი). ტელეფონი 14—37.

---

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარების და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

---

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საშვილოსნო სნეულებითავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე ნაშუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**ექიმი ქალი**

## რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოკტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახელმძღვანელო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 3—97.

---

## ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირს

ესაჭიროება ფეხსაცმელების სახელოსნოსთვის გამოცდილი გამომჭრელი—ხელოსნები, მეწაღეები, მექალამნეები აგრეთვე ტყავის ქარხნისთვის მოხელეები ყოველგვარი ტყავის გასაკეთებლათ. წინადადებით უნდა მიმართოთ ამიერ-კავკასიის **ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში** ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე. სომხის ბაზარი № 6. 2—2

---

## აჭარა-ქობულეთის სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოთ

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების გამგეობა აჭარა-ქობულეთის სკოლების მასწავლებელთ და საზოგადოების სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავეთ ამით აუწყებს, რომ თვისი ხვედრი ჯამაგირების აღება შეიძლება **ისმაილ თევზაძესთან** ქ. ლანჩხუთში.

მისამართი: **ქ. ლანჩხუთი. სოლომონ ჩხარტიშვილის სახლი** (სადგურის მახლობლად)

(1—1) განყოფილების გამგეობის მდივანი: **ისმაილი თევზაძე.**

---

ოთხშაბათს, 15 მაისს საღამოს 7 ნახ. ს. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში

## შესდგება თათბირი

ქალ. საბჭოს წევრის **დ. მ. პოპოვის** თავმჯდომარეობით, განიხილავენ პროექტს არსებულ საბარათო სისტემის რეორგანიზაციისას, რომელიც არის გამომუშავებული ცენტრალურ საბარათო ბიუროსა სასურსათო სამინისტროსთან ერთათ. აღნიშნულ თათბირზე იწვევენ ყველა მცოდნე პირებს, ვინც კი მოისურვებს მონაწილეობის მიღებას. (2—1)

---

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის **სახალხო სახლი.**

სახალხო სახ. არსებულ ქართულ წარმცდ. მმართველი წრე. ოთხშაბათს 15 მაისს ახალი სტილი 1918 წ. წარმოდგენილი იქნება

## მელანიას ოინები

კომ. 4 მოქ. გაუპტმანისა გად. კ. მესხისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, ნინო, ნი, რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ალ. მეფისრეველი, ი. მინდიაშვილი, ამბ იველელი და გ. სვანელი.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 55 კ. დე. ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2 მდე და საღამოს 6—8 საათამდე. შემდეგი წარმოდგენა 23 მაისს. რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. (2—1)

---

## სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი

სწავლობდა კიევში, ტეხნიკურ სასწავლებელში

ბინათ სცხოვრობდა ჟილენსკის ქუჩაზე № 55. ორი თვე არის რაც არაფერი ვიცი მის შესახებ. თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობისკი ტუპიკი 11, ნინა ლაზრიშვილი. (6—4)

---

## სავალდებულო დადგენილება

დამტკიცებული თფილისის ქალაქის თვითმართველობის მიერ ქალაქის გადასახადების და მათზე დარჩენილ „ნედოიმკების" აღების შესახებ.

1) სახლის პატრონები, რომელთა სახლებიც შეფასებულია არა ნაკლებ ათი ათასი მანეთისა, ვალდებული არიან შემოიტანონ ერთი კვირის განმავლობაში, დღეიდან დადგენილების გაზეთებში გამოქვეყნებისა,—ყველა მათზე დარჩენილი „ნედოიმკები" შეფასებითი გადასახადებისა, როგორც ძველი წლების ისე 1918 წლის პირველ ნახევრისა.

2) ერთი კვირის განმავლობაში მოვალე არიან შემოიტანონ ყველა მათზე დარჩენილი გადასახადები, როგორც ძველი წლის ნედოიმკები აგრეთვე 1918 წლის პირველ ნახევრის გადასახადები ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები ქალაქ თფილისისა.

3) ქალაქის გადასახადის გადამხდელები, ყველა, ვინც არ შედის 1 და 2 მუხლში ნაჩვენებ კატეგორიაში აგრეთვე ყველა ჯურის „ნედოიმშჩიკები" (წყალსადენის, მოიჯარადრენი და სხ.) მოვალე არიან შემოიტანონ მათზე დარჩენილი გადასახადები, აგრეთვე 1918 წლის პირველი ნახევრის ხვედრი 1918 წლის 1 მაისისათვის (ძველი სტილით).

4) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემიან სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით. (3—3)